

მალხაზ ერქვანიძე


ქართული ტრადიციული მუსიკის  
სოლოუეჭიოთ-ჰარმონიის  
სახელმძღვანელო

(ქართული საეკლესიო გალობის თეორიისა და  
პრაქტიკის საფუძვლები)



თბილისი  
2023

სამუშაო ჯგუფი მადლობას უხდის საქართველოს კულტურის,  
სპორტისა და ახალგაბრძობის სამინისტროს ფინანსური  
მხარდაჭერისთვის



მთავარი რედაქტორი: **ნანა მჟავანაძე**

კვლევის ასისტენტები: **გიორგი აბრამიშვილი, გოჩა ბიძინაშვილი, დავით ბერიძე, ქეთევან ბაიაშვილი**

რედაქტორი: **მარიკა ნაღარეიშვილი**

ენობრივი რედაქტორი: **ქეთევან მათიაშვილი**

სანოტო მაგალითების კომპიუტერული ვერსიები მოამზადეს  
გიორგი აბრამიშვილმა და გოჩა ბიძინაშვილმა

მხატვარი: **დავით ჭამრიშვილი**

დამკაბადონებელი: **მანანა ვაშავიძე**



© მალხაზ ერქვანიძე

ISBN 978-9941-8-5762-1

## შინაარსი

### პირველი ნაწილი

#### ქართული ტრადიციული გალობის თეორიის საკითხები

ნინათქმა.....5

<b>1. გალობის კილოური იერსახე.....</b>	<b>9</b>
1.1. უძველესი სალამური. ისტორიული ცნობები ქართული კილოს შესახებ. თეორიული წანამძღვრები და აკადემიური აზრი.....	10
1.1.1. უძველესი სალამური.....	10
1.1.2. სამუსიკო ტერმინოლოგია ძველი წყაროების მიხედვით კილოს ცნება.....	10
1.1.3. შინფარდი და კანკლედი.....	11
1.1.4. აკადემიური აზრი ქართული ტრადიციული მუსიკის კილოს შესახებ.....	13
<b>2. საგალობლების კილოური წყობა. ოთხგვარი კილო.....</b>	<b>15</b>
<b>3. საგალობლის კომპოზიციური ფორმა და შინაარსი.</b> მუხლის რაობა.....	18
3.1. მუხლების კანონზომიერებები და კვლევის მეთოდი.....	19
3.2. მუხლის როლი და ქცევის ფორმები.....	23
3.2.1. მუხლის კილოს დადგენა.....	24
3.2.2. ბანის როლი მუხლის კილოს დადგენაში.....	26
3.2.3. დამალული კილო.....	29
3.2.4. კილოური გადაცდომა.....	34
3.3. სეკვენციები.....	37
<b>4. მოდულაციური სისტემა: მოდულაციის ტიპები. გადახრები.....</b>	<b>38</b>
4.1. მოდულაციის ტიპები.....	39
4.2. მოდულაციური პროცესი.....	39
4.2.1. Iქ(C)-Iზ(F) კილოური სივრცე.....	41
4.2.2 IIქ(F)-IIზ(B) კილოური სივრცე.....	44
4.2.3. მოდულაციის ხერხები: მომზადება (მელოდიური მოდულაცია) და დაპირისპირება.....	46
4.3. გადახრა.....	47
<b>5. კადანსები.....</b>	<b>50</b>
5.1. სადა კადანსი.....	51
5.2. გამშვენებული კადანსი.....	51

5.2.1.	განვრცობილი კადანსები.....	54
5.2.2.	შექრილი კადანსი.....	58
5.2.3.	შეყოვნებული კადანსი.....	60
5.2.3.1.	შეკავება.....	61
5.2.3.2.	გამვლელი მოძრაობა.....	63
5.2.3.3.	შემომღერება.....	64
5.2.4.	ჩანართი.....	64

### **მეორე ნაწილი**

#### **ზეპირი სწავლების ტრადიცია**

1.	ძირითადი ჰანგი და მისი კომპოზიციური სტრუქტურა.....	70
1.1.	გელათის სკოლის ნიმუშები.....	90
1.2.	ქართლ-კახური სკოლის ნიმუშები.....	108
2.	ხმათა შეწყობის პრინციპები გელათის, ქართლ-კახეთისა და შემოქმედის სკოლების მიხედვით.....	112
2.1.	ხმათა ვერტიკალური კოროდინირების პრნიციპები - ხმებს შორის აკრძალული ინტერვალური დამოკიდებულება .....	112
2.1.1.	I და II ხმების ურთიერთმიმართება .....	112
2.1.2.	პირველი ხმისა და ბანის ურთიერთმიმართება .....	116
2.2.	სამხმიანი ნიმუშები – გელათის სამგალობლო სკოლა .....	119
2.3.	სამხმიანი ნიმუშები. აღმოსავლეთის სკოლა .....	152
2.4.	სამხმიანი ნიმუშები. შემოქმედის სკოლა .....	160
3.	<b>მოდულაციები.....</b>	166
3.1.	მოდულაციები Iქ(C)-Iზ(F) კილო-კომბინაციის სივრცეში.....	166
3.2.	მოდულაციები IIქ(F)-IIზ(B) კილო-კომბინაციის სივრცეში.....	170
4.	<b>ანგელოზი ღაღადებს - ქართული გალობის გრამატიკის კვინტესენციური ნიმუში.....</b>	171
5.	<b>ზეპირი სწავლების ბოლო ეტაპი - ჰანგის შექმნა.....</b>	184
6.	<b>ნევმური სისტემა.....</b>	202
7.	<b>ქართული ორიგინალური ბგერათწყობა. აკუსტიკური კვლევა – მეთოდოლოგია და ანალიზის შედეგები.....</b>	205
7.1.	ქართული ორიგინალური ბგერათწყობა.....	205
7.2.	აკუსტიკური კვლევის მეთოდოლოგია და შედეგები.....	207
	ბგერათრიგის სავარჯიშოები.....	212
	გამოყენებული ლიტერატურა.....	226

## წინათქმა

ქართული სოლფეჯიო-ჰარმონიის სახელმძღვანელოს შემუშავებისა და გამოცემის სურვილი დიდი ხანია მაქვს, თუმცა აქამდე ვერ მოხერხდა. გარკვეული თვალსაზრისით, ასეც ჯობდა, რადგან ბოლო რამდენიმე ათეული წელიწადი უფრო მეტი ცოდნისა და გამოცდილების მიღებას მოვანდომე ჩემს კონსულტანტებთან ერთად და, შესაბამისად, მტკიცებულებებით გამყარებული გაცილებით დიდი მასალა დაგროვდა, რომლის შეჯამებასაც წარმოადგენს წინამდებარე ნაშრომი.

წიგნს საფუძვლად უდევს ანჩისხატისა და მამადავითის ტაძრების სამგალობლო გუნდებთან და ფოლკლორულ ჯგუფ „სახიობასთან“ მუშაობის ოცდათხუთმეტწლიანი პრაქტიკული გამოცდილება. გალობის პარალელურად, რეპერტუარზე დაკვირვებისა და აკუსტიკური თუ მუსიკოლოგიური კვლევების საფუძველზე შემუშავებული ზეპირი სწავლების მეთოდოლოგიას ექსპერიმენტების სახით ინტენსიურად ვიყენებდი გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის სასწავლებლის სტუდენტებთან. ამავე დროს ვარედაქტირებდი საარქივო ნოტირებულ ხელნაწერებს, რომლებიც ათამდე ტომად გამოიცა. კვლევების წინასწარი შედეგები განმარტებების ფორმით ქვეყნდებოდა ამ კრებულებში, უურნალებსა და სამეცნიერო ფორუმების გამოცემებში. ყოველივე ამან საბოლოოდ თავი მოიყარა სადისერტაციო ნაშრომში. თუმცა მუშაობა კვლავაც გაგრძელდა და ბევრი მნიშვნელოვანი სიახლე გამოვლინდა, ზოგიერთმა მანამდელმა დასკვნამ კი კორექტირება მოითხოვა. ამგვარად, მრავალწლიანი შესწავლის შედეგები საბოლოოდ შეჯამდა წინამდებარე წიგნში.

ნაშრომის მთავარი ღირებულება ის არის, რომ მასში წარმოდგენილი ყველა თეზისი პრაქტიკულ გამოცდილებასა და მასზე მეცნიერულ დაკვირვებას ეფუძნება და, შესაბამისად, ეს თეორიული ცოდნა მის პრაქტიკაში განხორციელებას ემსახურება; კერძოდ: განხილული და დაზუსტებულია კილოების, მოდულაციების, კადანსების პრინციპები, ხმათა მოძრაობის წესები, დადგენილია ოთხი ძირითადი რვასათვეზურიანი კილო, რომელიც ორ კილო-წყვილს (კილო-კომბინაციას) წარმოადგენს და რომელსაც ეფუძნება ქართული საეკლესიო გალობა.

თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ თითოეული თეორიული მსჯელობა თუ თეზისი გამყარებულია შესაბამისი აუდიო თუ სანოტო მაგალითებით და ზოგიერთ საკითხს მასში უკეთ განაფვის მიზნით დართული აქვს სოლფეჯიოსა და ჰარმონიის სავარჯიშოებიც, წიგნი მაინც არ წარმოადგენს სახელმძღვანელოს ამ ცნების სტანდარტული, კლასიკური გაგებით. ამისათვის საჭიროა მასალის საფეხურებად, დონეების მიხედვით მეთოდური კლასიფიკაცია და თითოეული თემისთვის მოცემულ საფეხურზე შესატყვისი სავარჯიშოების კრებულის შემუშავება. მეთოდური ჩარჩო შეიძლება სამსაფ-

ეხურიანი იყოს: დაწყებითი (ოთხწლედი), ბაკალავრიატი (ოთხწლედი) და მაგისტრატურა (ორწლედი).

ნაშრომში წამოჭრილი პრობლემების კვლევის მეთოდოლოგიას წარმოადგენს საარქივო (ჩვენი აზრით, ყველაზე ავტორიტეტული და სანდო) ფონომასალების აკუსტიკური ანალიზი და მიღებული მონაცემების მუსიკოლოგიური დამუშავება; გულდასმით ყურის დაგდება და ზედმინევნით გამორკვევა-გამოძიება იმისა, თუ სინამდვილეში რას, როგორ და რა სისტემით გალობენ და მღერიან ძველი ოსტატები. ამგვარი მიღვომა განაპირობა სანოტო ტრანსკრიფციების ხარვეზებმა, რაც მათ სამეცნიერო კვლევებისთვის ნაკლებად ლირებულსა და არასანდოს ხდის. როგორც ცნობილია, ხუთხაზიან სისტემაში გადატანისას იკარგება მნიშვნელოვანი მუსიკალური გამომსახველობითი მონაცემები, რაც ართულებს ობიექტურ ანალიზსა და მიუკერძოებელი დასკვნების გამოტანას. პრაქტიკულ გამოცდილებაზე დაყრდნობით საკვლევი მასალის შერჩევამ და აკუსტიკურმა ანალიზმა მოგვცა სწორედ კილოს გამორკვევის, ორიგინალური ქართული ბერათრიგების დადგენის, მოდულაციური სისტემის გამოვლენისა და ზოგიერთი თამამი დასკვნის გამოტანის საშუალება, როგორიცაა, მაგალითად: საყრდენი ტონის განსაზღვრა არა ბანის (როგორც ეს აქამდე იყო მიღებული), არამედ ზედა ხმის მეშვეობით, რომლის საფუძველზეც უნდა მოხდეს კილოს დადგენა; შესაბამისად, რვასაფეხურიანი კილოს ათვლა დაღმავალი (ზევიდან ქვევით) და არა აღმავალი (ქვევიდან ზევით) მიმართულებით და ა.შ.

იმის გამო, რომ ქართული ტრადიციული სამუსიკო რეპერტუარი ძალზე ვრცელი და მრავალფეროვანია, ფოკუსი მივმართეთ მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პლასტის, ქართული გალობის, კვლევაზე.

ნაშრომი ორი ნაწილისგან შედგება. პირველ ნაწილში განხილულია ქართული სამგალობლო ტრადიციის თეორიული საფუძვლები; წარმოდგენილია ძირითადი თეორიული დებულებები შესაბამისი სანოტო და ხმოვანი ილუსტრაციებით. მეორე, პრაქტიკულ ნაწილში დეტალურად არის აღწერილი ქართული გალობის ამა თუ იმ ასპექტის პრაქტიკული განხორციელების ტექნიკა და დამოუკიდებლად მუზიკირების სურვილის შემთხვევაში მას გზამკვლევის ფუნქცია ეკისრება. მაგალითები მოცემულია როგორც თანაბარტემპერირებულ (ფორტეპიანოს), ასევე ქართულ წყობაში (ცენტრების მითითებით), რაც მკითხველს დაეხმარება მათ შორის განსხვავებების უკეთ დანახვასა და გააზრებაში. აქვე დეტალურად გაეცნობით აკუსტიკური კვლევის მეთოდოლოგიას, რომელმაც მნიშვნელოვანად განაპირობა ნაშრომში წარმოდგენილი დებულებები და დასკვნები. ამავე ნაწილშია ნევმური სისტემის მოკლე მიმოხილვა, რაც მკითხველს დაეხმარება მის პრაქტიკულ გამოყენებასა და ხუთხაზიანი სანოტო სისტემისგან შეძლებისდაგვარად თავის დაღწევაში.

ამ წიგნში გამოტანილი დასკვნები ასევე ხელს უწყობს ათასობით სანოტო ხელნაწერში არსებული მთელი რიგი ხარვეზების აღმოფხვრას და შეძლებისდაგვარად მათ გამართვას. შესაბამისი სამუსიკო მეცნიერების არქონის შემთხვევაში ხელნაწერების რედაქტირება მიზანშენონილი არაა.

წიგნს ერთვის აუდიოდისკი. აღნიშნული მასალა, ასევე, განთავსებულია ინტერნეტსივრცეში, YouTube და Google Drive პლატფორმებზე, რომლებზე გადასვლა შესაძლებელია წიგნის ბოლოს დართული QR კოდების საშუალებით.

მიუხედავად დიდი მცდელობისა ნაშრომი არ არის დაზღვეული შეცდომებისა და უზუსტობებისაგან, რისთვისაც წინასწარ ვითხოვთ შენდობას.

რამდენადაც ახალი გარემოებებისა თუ მტკიცებულებების გამოვლენა ძველი შეხედულებების, ჰიპოთეზებისა თუ თეორიების ინსპექტირებას, რევიზიასა და ზოგჯერ უარყოფასაც კი გულისხმობს, შესაძლებელია, რომ განგრძობადი დაკავირვებისა და მომავალი კვლევების შედეგების საფუძველზე მოხდეს ამ წიგნში შემოთავაზებული ზოგიერთი დებულების კორექტირებაც. თუმცა ჩვენ მიერ დამუშავებული მასალის რაოდენობრივი და თვისობრივი (მათ შორის მეთოდოლოგიური) ინდიკატორების გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ სამომავლოდ, ნაშრომში წარმოდგენილი ძირითადი დასკვნები გადახედვას აღარ მოითხოვს.

იმედი გვაქვს, ნაშრომი მიიპყრობს ქართული გალობით დაინტერესებული მეითხველის ყურადღებას და კვალიფიციური მსჯელობის, დისკუსიის საგანი გახდება სამომავლოდ.

**და ბოლოს, მადლიერების ნიშნად, მსურს, სადიდებელი შევსწირო ყოვლადწმიდა სამებას, რომელმაც შეგვაძლებინა ამ ურთულესი ნაშრომის დასრულება.**

**მალხაზ ერქვანიძე**

## **შემოკლებანი:**

ა/დ – აუდიოდანართი

გპ – გურული კილო

თმ – თერთმეტი მარგალიტი

თსკ – თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია

ქგ – ქართული გალობა

ქსგ – ქართული საეკლესიო გალობა

შს – შემოქმედის სკოლა

ხეცხ – ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ხელნაწერი

## ქართული გალობის საფუძვლები: თეორია და პრაქტიკა

### პირველი ნაწილი

#### ქართული ტრადიციული გალობის თეორიის საკითხები

##### 1. გალობის კილოური იერსახე

ქართული მუსიკის კილოს პრობლემა ერთ-ერთ ყველაზე რთულ საკითხად მიიჩნევა მუსიკოლოგიაში და დღემდე მწვავე დებატების საგანს წარმოადგენს. ცნობილია, რომ საკუთრივ კილოს ცნების გააზრება და, შესაბამისად, განმარტებაც არ არის ცალსახა და ერთმნიშვნელოვანი. სამეცნიერო ლიტერატურაში (განსაკუთრებით საბჭოთა და რუსული მუსიკოლოგიური სკოლის, ასევე, ზოგიერთ ქართველ ავტორთა შრომებში<sup>1</sup>) კილოს ფენომენზე მსჯელობისას მისგან გამიჯნულია ისეთი ცნებები, როგორებიცაა: ბგერათრიგი, ტონალობა, წყობა. წინამდებარე სახელმძღვანელოში ჩვენ მიერ ტერმინ კილოს გამოყენებისას ავტომატურად იგულისხმება მისი შესატყვისი წყობა და ბგერათრიგიც. ტერმინები: კილო-ბგერათრიგი, კილო-წყობა ერთი მთლიანი ფენომენია და მაქსიმალურად გამოხატავს ქართული ტრადიციული გალობის კილოურ შინაარსს, რაც ძველი აუდიოჩანაწერების აკუსტიკური ანალიზის მეშვეობით დადასტურდა.

ძველი წერილობითი წყაროები ქართული სამუსიკო სისტემის შესახებ, რომლებშიც გარკვეული იქნებოდა სამუსიკო აზროვნების გამომხატველი კომპონენტების – კილოების, მოდულაციების, საკრავთა წყობებისა და ა. შ. წესები და, ზოგადად, სამუსიკო სისტემა, გარდა აქა-იქ მიმოფანტული ზედაპირული ცნობებისა, არ გაგვაჩნია. ძნელი წარმოსადგენია, რომ ამგვარ მდიდარ სამუსიკო პრაქტიკას თეორიული საფუძვლების გარეშე ეარსება.<sup>2</sup>

მიუხედავად იმისა, რომ ქართული კილოური სისტემის შესახებ ჩვენამდე რაიმე სახის თეორიული სწავლება (სახელმძღვანელო) არ შემონახულა, გარკვეული დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას იძლევა დაკვირვება ზოგიერთ ისტორიულ ცნობაზე, რომელზეც ქვემოთ შევჩერდებით.

<sup>1</sup> იხ. Асафьев, Б. Музыкальная форма как процесс. М., 1971:282; Бершадская, Т. Лекции по гармонии. Л., 1985:66-69; უღენტი, ი. ნარკვევები ქართული ხალხური და ძველი პროფესიული მუსიკის შესახებ. ისტორიისა და თეორიის საკითხები. თბილისი: 2017: 63, 71.

<sup>2</sup> სამწუხაროდ, საველე ექსპედიციებში, იშვიათი გამონაკლისების გარდა, ისეთი საკითხები, როგორებიცაა: კილო, წყობები, საკრავებისა და სიმღერა-გალობის ურთიერთმიმართება და სხვა თეორიული საკითხები, ეთნოფორების გამოყითხვისას ძირითადად ყურადღების მიღმა რჩებოდა. არადა, მათი ველზე გამოკვლევა უდავოდ ბევრ სანტერესო საკითხს მოჰყენდა ნათელს.

## **1.1. უძველესი სალამური. ისტორიული ცნობები ქართული კილოს შესახებ. თეორიული წანამძღვრები და აკადემიური აზრი**

**1.1.1. უძველესი სალამური.** საქართველოში მუსიკალური სისტემის არსებობის ყველაზე ადრეული ნივთმტკიცებაა მცხეთაში აღმოჩენილი 3500 წლის სალამური, რომელშიც ვლინდება ქართული რვასაფეხურიანი კილოს არქეტიპი – ოთხსაფეხურიანი ბგერათნება, როგორც შორეული ათასწლეულების გამოძახილი. როგორც საკრავზე დაკვრისას გაირკვა, მისი დახრისას ორი განსხვავებული ტეტრაქორდი მიიღება. აღნიშნული იმაზე მიუთითებს, რომ იგი გათვლილი ყოფილა ორი განსხვავებული ტეტრაქორდის მისაღებად. ჰორიზონტალურ მდგომარეობაში ჩაბერვისას საკრავის ბგერათრიგი ერთი დაღმავალი ტეტრაქორდია, რომელიც ემთხვევა ჩვენ მიერ გამოვლენილი პირველი კილო-კომბინაციის ზედა (F) კილოს ზედა ტეტრაქორდს. სალამურის მეორე ტეტრაქორდი კი – მეორე კილო-კომბინაციის ზედა (B) ტეტრაქორდს. აღსანიშნავია, რომ სწორედ ეს ორი წყობა წარმოადგენს ქართული სამგალობლო რეპერტუარის კილოური აზროვნების საფუძველს და ყველა (ოთხი) გამოვლენილი კილო ამ ორ ტეტრაქორდს (f-es-d-c , es-d-c-b) ეყრდნობა<sup>3</sup> (იხ. ა/დ, №1).

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საკრავი 3500 წლით თარიღდება, გამოდის, რომ ტეტრაქორდული სისტემა საქართველოში უკვე ქრისტემობამდე || ათასწლეულში არსებობდა.<sup>4</sup>

**1.1.2. სამუსიკო ტერმინოლოგია ძველი წყაროების მიხედვით. კილოს ცნება.** ქართული ტრადიციული სამუსიკო ხელოვნება რიგი თავისებურებებისა და მახასიათებლების გამო იმსახურებს და ითხოვს შესაბამისი ტერმინოლოგიის შემუშავებასა და დამკვიდრებას. აღსანიშნავია, რომ ისტორიულ წყაროებში მიმობნეულია არაერთი საინტერესო ტერმინი, რომელმაც ქართველ მკვლევართა ყურადღება მიიპყრო.

გასული საუკუნის დასაწყისში გაზეთ მოგ ზაურში ქვეყნდება ფილიმონ ქორიძის წერილი ქართული ტერმინების შესახებ, რომლებსაც ძველი ოსტატები გალობასთან დაკავშირებით იყენებდნენ და რომლებიც, საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, ჩვენი სამუსიკ მეცნიერებისთვის მნიშ-

<sup>3</sup> სალამურზე გამოვლენილი ტეტრაქორდები, გალობაში გამოყენებული ტეტრაქორდებისაგან განსხვავებით, სუფთა წყობაშია წარმოდგენილი. ხალხური სასიმღერო შემოქმედებისთვის დამახასიათებელი კილოური აზროვნება, კერძოდ, ტეტრაქორდული, პენტაქორდული და სეპტაქორდული კილოები და საკრავთა წყობები ცალკე კვლევის საგანია და აქ განვიხილავთ.

<sup>4</sup> ეს გარემოება, ჩვენი აზრით, სერიოზული საფუძველია ამისათვის, რომ მოხდეს ქართული კილოს წარმომავლობის გადააზრება და მისი ისტორიული ფორმირების რეკონსტრუქცია.

ვნელოვანია. ასეთი ტერმინებია, მაგალითად: ავაჯა, ხტილი, ზომა, წართქმა, ბერა, ტონი, ჭექა, დამუხლება, სასულე, შეჩერება, ფეროვნება, ხუთანა, ექვსანა, კრინი, ზილი, გამყივანი, მაღალი ბანი, ბანი, დვრინი, დუმბი. „ავაჯა“ მელოდიაა, „ხტილი“ ინტერვალს ნიშნავს, „ჭექა“ – ფორტეს, „სასულე“ – პაუზას, „დვრინი“ – ბასოპროფონდოს, „დუმბი“ – პროფონდისიმოს, „ხუთანა“ და „ექვსანა“ კი – კვინტას და სექსტას“, – წერს ქორიძე [1905: 587-588].

ხშირად გვხვდება კილოს მრავალგვარი, ერთმანეთისაგან განსხვავებული განმარტებანი. მაგალითად, ზოგჯერ მას ჰარმონიის მნიშვნელობით განიხილავენ და, ამგვარად, ჰანგის ვერტიკალური გამშვენების ფორმებს განასხვავებენ: გელათის კილო, შემოქმედის კილო, კარბელაანთ კილო და სხვ. აკაკი წერეთლის მიხედვით, კილო საეკლესიო კითხვის წესსაც გულისხმობს: „მეტყველების კილოში ყოფილა იმისთანა ძალა, რომელიც არც სხვისი ენით გამოითქმის და არც კალმით აიწერება!... იმისი მხოლოდ გრძნობა შეიძლება და ვაი იმ ხალხს, რომელსაც ის გრძნობის საუნჯე, ის კილო დაეკარგება!!!“ [წერეთელი, 1894: 4-5].

კილოს შესახებ საყურადღებო ცნობები გვხვდება ადრეული შუა საუკუნეების მოღვაწის, იოანე პეტრინის, შრომებშიც. პეტრინთან დამოწმებული ზოგიერთი ტერმინი (რომლებიც, შესაძლოა, თვით მის მიერაც იყოს შემუშავებული) განმარტა კახი როსებაშვილმაც [როსებაშვილი, 1988: 42].<sup>5</sup>

ისტორიულ ცნობებს შორის განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო ტერმინებმა – შინფარდი და კანკლები, რომლებზეც ქვემოთ შევჩერდებით.

**1.1.3. შინფარდი და კანკლები.** სამუსიკო ტერმინოლოგიის კუთხით განსაკუთრებით მნიშვნელოვანი წყაროა იოანე ბატონიშვილის კალმასობა, რომელიც ძველი ქართული მუსიკის შესახებ ძვირფას ცნობებს შეიცავს. ერთგან ავტორი დიალოგის მონაწილეთა პირით ამბობს: „ყოველს ქვეყანაში, ესე იგი – საბერძნეთს, ევროპიას, არაბიას და სხვათა შორის არს რვა ხმად განყოფილი გალობა, და ამ სახით ჩვენშიაც; რომელ ამაზედ მეტი შეუძლებელ არს, ამისთვის, რომელ საკრავთა ფარდებიც რვანი არიან, რომელიცა თვითეული მათგანი უამსა დაკვრისასა გამოსცემენ სხვადასხვა სახედ ხმათა. ხოლო კანკლები, რომელ არს შინფარდათ წოდებული, იგი მცირედ უკვე განესხვავების კილოს მშვენიერებისათვის; და რაგვარათაც საკრავსა შინა იხმარება, ესსახედვე გალობასა შინაცა. და ესეც წარმოებს ისევ რვა ხმათაგან.“ [იოანე ბატონიშვილი, 1991: 520].

აქედან ნათლად ჩანს, რომ საკრავი (იგულისხმება სიმებიანი ინსტრუ-

<sup>5</sup> აღნიშნული განმარტებები საყურადღებოა, რამდენადაც ეს ტერმინები ქართული ბერათს-ისტემის რაობას უკავშირდება და, ვფიქრობ, მნიშვნელოვან ინფორმაციას ინახავს ტრადიციული ქართული კილოური ბერათრიგის შესახებ. უფრო ვრცლად ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. სადისერტაციო ნაშრომი ქართული საეკლესიო გალობის ნოტებზე გადაღების ისტორია და ქართული მუსიკალური სისტემა [ერქვანიძე, 2014].

მენტი) რვა ფარდისაგან შედგებოდა, რაც, სავარაუდოდ, მიუთითებს ფიქ-სირებული რვაბგერიანი კილოს არსებობაზე.<sup>6</sup>

გარდა ამისა, განსაკუთრებული ყურადღება მოცემულ ამონარიდში მიიპყრო რამდენიმე ტერმინმა, როგორიცაა: შინფარდი, რვა ხმა, ფარდები, კანკლედი, ასევე – გამოთქმა კილოს მშვენიერება. ხმოვან მასალაზე დაკვირვება ამ ძვირფასი წერილობითი ცნობების გააზრებისა და ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. კერძოდ, შეიძლება ითქვას, რომ:

ა) ამ შემთხვევაში „რვა ხმაში“ იგულისხმება არა ე. წ. რვახმის სისტემა, რომელზეც დამყარებულია, ზოგადად, საეკლესიო ჰიმნოგრაფია, არამედ რვა ბგერა, ანუ კილოს რვასაფეხურიანი ბგერათრიგი. ავტორი აზუსტებს კიდეც, რომ ამაზე მეტი შეუძლებელია, რადგან საკრავთა ფარდებიც რვა არისო და „გამოსცემენ სხვადასხვა ხმათა“, ანუ სხვადასხვა ბგერებსო.

ბ) ფარდი, ცხადია, გულისხმობს საკრავზე არსებულ დანაყოფებს და, მაშინაც კი, როდესაც მუსიკოსი „უფარდო“ ინსტრუმენტზე მუზიცირებს, ის წარმოსახვით „ფარდებში“ აზროვნებს, როგორც, მაგალითად, ჭუნირსა და ჩონგურზე დაკვრისას.<sup>7</sup> ფანდურს, როგორც წესი, აქვს ფარდები.<sup>8</sup>

გ) კანკლედი და შინფარდი მოდულაციისა და/ან გადახრის აღმნიშვნელი ცნებებია.<sup>9</sup>

ნაშრომში დასახელებულ სამუსიკო ტერმინებს შორის ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება სწორედ კანკლედმა და შინფარდმა მიიპყრო. მათზე დაკვირვებამ სამგალობლო რეპერტუარის ანალიზის შედეგებისა და, განსაკუთრებით, მოდულაციის ტიპების გამოვლენის კონტექსტში, მოგვცა ამ ტერმინების ახლებური გააზრების საშუალება და საბოლოოდ მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ კანკლედი და შინფარდი მოდულაციას გულისხმობს და მათ იყენებდნენ ერთი კილოს მეორით ჩანაცვლების აღსანიშნავად; უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ეს ტერმინები, ჩვენი აზრით, მოდულაციის გამომხატველია, კერძოდ, კილო-ბგერათრიგის მონაცვლეობისას წინა და მომდევნო კილოებს საერთო მხოლოდ ერთი ბგერა რჩებათ, რაც წათლად ჩანს ორიგინალურ ქართულ ბგერათწყობაში (მაგ., წმიდანო მონამენო, რომლის მოდულაციური სქემა I<sup>th</sup>(F) და I<sup>th</sup>(G) კილო-ტონალობების მონაცვლეობას ეყრდნობა).<sup>10</sup>

<sup>6</sup> ისიც საინტერესოა, რომ გიორგი მთაწმიდელი „საკრავსა შინა გამოცდილი“ ყოფილა. ეს მაფიქრებინებს, რომ წმიდა მამა მას სმენის საწვრთნელად იყენებდა.

<sup>7</sup> არსებობს არტემ ერქომაიშვილის ერთი ფოტოსურათი, რომელზეც ოსტატს დანაყოფებიანი ჩონგური უჭირავს.

<sup>8</sup> დიმიტრი არაყიშვილიც საკრავების დანაყოფების ალსანიშნავად ტერმინ ფარდს იყენებს [არაყიშვილი, 1940: 30-31].

<sup>9</sup> ნაშრომში წარმოდგენილი მასალის ვიზუალიზაციის მიზნით ვიყენებთ ტრადიციულ (ევროპულ) ხუთხაზიან სანოტო სისტემას.

<sup>10</sup> იმისათვის, რომ ხაზი გაესვას ქართული სამგალობლო კილოს ორიგინალურობას, კილოების

№1. [ქსგ, შს, 2006: 245]<sup>11</sup>:

The musical score consists of two staves. The top staff is in F major (I<sup>b</sup>(F)) and the bottom staff is in G major (I<sup>b</sup>(G)). Both staves have a common basso continuo line at the bottom. The lyrics are written below the notes.

**I<sup>b</sup>(F) lyrics:**

ნმინ - და - ნო - ი - მო - ნა - მე - ნო,

რო - მელ - თა კე - თი ლად ი - ლვა -

**I<sup>b</sup>(G) lyrics:**

ნეთ და - ი - ა გვირ - გვი - ნო - სან იქ - მე - ნით

**1.1.4. აკადემიური აზრი ქართული ტრადიციული მუსიკის კილოს შესახებ.<sup>12</sup>** ჯერ კიდევ 1990 წელს წამოვჭერი ქართული კილო-ბგერათნყობის ორიგინალობის საკითხი, რომელსაც სადიპლომო ნაშრომი მიეძღვნა [ერქვანიძე, 1990]. თუმცა, მკვლევართა ადრეულ ეტაპზევე დაინტერესების მიუხედავად, აღნიშნულ მოვლენაზე დაკვირვება ბოლო ორი ათეული წლის განმავლობაში გააქტიურდა. გაჩნდა არაერთი შრომა, რომელთა შედეგებიც განსხვავებული ინტერპრეტაციების საფუძველი გახდა. მაგალითად, მოსაზრება ქართულ ტრადიციულ მუსიკაში მხოლოდ ერთი ბგერათრიგისა და ერთადერთი კილოს არსებობის შესახებ პირველად კოკა ნიკოლაძემ გამოთქვა 2011 წელს. მოგვიანებით ლევან ვეშაპიძემ და ზაალ წერეთელმა გაიზიარეს ეს თეორია, რომლის მიხედვით, ქართულ ტრადიციულ მუსიკაში არ არსებობს სხვადასხვა კილო და კილოური მიხრილობის მქონე ბგერათრიგები, საკრავთა სხვადასხვა წყობები და მივიღნენ დასკვნამდე, რომ

---

სახელდებისთვის ნაშრომში არ ვიყენებთ არც ბერძნულ (და მოგვიანებით შუა საუკუნეების მუსიკის თეორიის მიერ ნასესხებ) კილოთა სახელწოდებებს (როგორებიცაა: ონიური, დორიული და ა. შ.) და არც ევროპული ტონალური მუსიკის აღმნიშვნელ (მაჟორი და მინორი) ტრამინებს. ამის ნაცვლად, კილოების იდენტიფიცირებისათვის ასოითი აღნიშვნები შევარჩიეთ, რომლებიც პირობითია და არ გამოხატავს კონკრეტული ასოს შესაბამის რეალურ სიმაღლე-ბრივ პოზიციას. ასე, მაგალითად: C კილოში ასო C პირობითია და გულისხმობს რვასაფეხურიან 2-ბემოლიან დალმავალ ბგერათრიგს ჩ-დან, რომელიც ასევე შეიძლება რეალიზდეს სხვა (D, G, A და ა. შ.) ბგერებიდანაც შესაბამისი ალტერაციული ცვლილებებით (D უნიზნო, G 1-ბემოლიანი და ა. შ.) – ცხადა, ინტერვალური შედგენილობის შენარჩუნებით. ასევე, F კილო მიუთითებს F-დან წარმოებულ რვასაფეხურიან 2-ბემოლიან დალმავალ ბგერათრიგზე, რომლის ტეტრაქორდული (ინტერვალური) აღნაგობა განსხვავდება C კილოსაგან და რომელიც შეიძლება აიგოს როგორც რეალური F ბგერიდან, აგრეთვე ნებისმიერი სხვა ბგერიდანაც, და ა. შ.

<sup>11</sup> კვლევის სპეციფიკიდან გამომდინარე, დამოწმებული სანოტო მაგალითები უმთავრესად წარმოდგენილია ტრანსპონირებული ან რედაქტირებული სახით.

<sup>12</sup> ქართული ტრადიციული მუსიკის კილოური წყობის დღემდე წარმოებული კვლევების შესახებ ვრცელ მიმოხილვას გვთავაზობს და აჯამებს იოსებ უორდანია [Jordania, 2022].

ქართული წყობა თანაბარდაყოფილ ბერათრიგს წარმოადგენს [წერეთელი, ვეშაპიძე, 2014: 281-287].

ცხადია, ამგვარი „რედუქციონისტული სისტემა“ საფეხურების კილოურ მიხრილობასაც გამორიცხავს. შედეგად, გამოდის, რომ მნიშვნელობა არა აქვს, ესა თუ ის საგალობელი საიდან, რომელი საფეხურიდან დაიწყება, რადგან კილოს საფეხურს არავითარი ფუნქციური დატვირთვა არ გააჩნია. ამგვარ მსჯელობას რვახმის სისტემის (რაც, პირველ რიგში, კილოურ მრავალფეროვნებას ნიშნავს) უარყოფამდე მივყავართ, რაც რვახმის არსა და შინაარსს ძირულად ეწინააღმდეგება.<sup>13</sup>

წყობის მსგავს (თანაბარდაყოფილ) მოდელს გვთავაზობს სტიუარტ გელ-ცერიც, რაც მას, ერთი მხრივ, ვეშაპიძე-წერეთლის სისტემასთან აახლოებს. მეორე მხრივ, ავტორი კვინტის დომინანტურ როლზეც მიუთითებს და მას წყობის ფორმირებაში ოქტავაზე მნიშვნელოვან როლს ანიჭებს. კვინტის, როგორც წყობისშემქმნელი ელემენტის, აღმატებული მნიშვნელობით გელცერის თეორია ამავე დროს ახლოსაა ვლადიმერ გოგოტიშვილის თეორიასთან („კვინტურ-დიატონური წყობა“) [გოგოტიშვილი, 2003], თუმცა ამ უკანასკნელისაგან განსხვავებით, გელცერი გადიდებული თუ „გაფართოებული“ ოქტავის ფენომენზეც მიუთითებს [Gelzer, 2003]. ამავე ფენომენის შესახებ აღნიშნავს ფრანკ შერბაუმის კვლევითი ჯგუფიც მის მიერ წარმოებული კომპიუტერული ანალიზის შედეგების მიხედვით. როგორც ამ კვლევებით ჩანს, შემოთავაზებული წყობის მოდელი ორი – მელოდიური (ლინეარული) და ჰარმონიული (ვერტიკალური) – „ძალის“ დინამიკური ურთიერთმოქმედების შედეგად ინარმოება, რადგან ხშირ შემთხვევაში მელოდიური განვითარებისას წარმოებული ინტერვალები სცდება წყობის ინტერვალურ ჩარჩოს და ჰარმონიული (ვერტიკალური) საწყისი ხდება მაკორდინირებელი ძალა [Scherbaum..., 2018, 2019, 2020a, 2020b, 2022].

აღნიშნული მოდელების საპირისპიროდ, ჩვენ მიერ შემოთავაზებული სისტემა, უპირველეს ყოვლისა, უარყოფს თანაბარდაყოფილი წყობის არსებობას ქართულ კილოურ აზროვნებაში. როგორც სამგალობლო რეპერტუარის აკუსტიკური ანალიზის შედეგებიდან ირკვევა, ქართული გალობის კილოური წყობა, ძირითადად, ტეტრაქორდულ მოდელს ეყრდნობა და ბერათრიგის შემადგენელი მელოდიური ინტერვალების სიდიდე ორ – 154 (ნეიტრალურ) და 172-ცენტიან (დიდ) სეკუნდას ეფუძნება. ამ ორი ტეტრაქორდის შებმაში მონაწილეობს კიდევ ერთი სეკუნდა, რომლის სიდიდე 204 ცენტია და რომელიც, როგორც გამყოფი ტონი, გვხვდება როგორც ტეტრაქორდებს შუაში, ისე მათ განაპირას. სწორედ აკუსტიკური კვლევის ამ შედეგებიდან

<sup>13</sup> ქართული მუსიკალური სისტემისა და ბერათწყობის საკითხებს განიხილავს, აგრეთვე, გურამ გაგოშიძე, რომელიც თავის სტატიაში იძლევა მეტად საინტერესო, ღრმა სალვოსმეტყველო და მუსიკოლოგიურ განმარტებებს [გაგოშიძე, 2017: 65-75].

გამომდინარეობს ის დებულებები, რომლებიც ქართული გალობის წყობას ეხება და რომელიც წინამდებარე სახელმძღვანელოს დაედო საფუძვლად.

## 2. საგალობლების კილოური წყობა. ოთხგვარი კილო

როგორც კვლევებმა აჩვენა, ქართული ტრადიციული მუსიკა (ხალხური რეპერტუარის ჩათვლით) ტეტრაქორდულ, პენტაქორდულ, სექსტაქორდულ, სეპტაქორდულ და ოქტაქორდულ ბგერათრიგებს ეფუძნება.<sup>14</sup>

რაც შეეხება ქართულ გალობას, მისი კილო-წყობის საფუძველი რვასაფეხურიანი ბგერათრიგია, რომელიც ოთხი კილო-ბგერათრიგის სახით გვხვდება. ეს კილოები ორი დალმავალი ტეტრაქორდის განსხვავებული ხერხებით ერთმანეთთან შებმით ინარმოება. ოთხივე კილო-ბგერათრიგის ერთობლიობა ქმნის 2-ბემოლიან სრულყოფილ სისტემას ორი ოქტავის ფარგლებში.<sup>15</sup>

ცხადია, ყველა საგალობელი არ მოიცავს მთლიან, სრულყოფილ სისტემას.<sup>16</sup> ზოგიერთი მათგანი მხოლოდ ერთ კილოში – I<sup>th</sup>(F) ან I<sup>j</sup>(C)<sup>17</sup> – გადმოიცემა, ზოგიერთი ორ კილოში მონაცვლეობს. ამ უკანასკნელის დროს საკმაოდ ხშირია სტაბილური კილოური (მოდულაციური) წყვილები, კილოკომბინაციები, როგორც მაგალითად: I<sup>j</sup>(C) და I<sup>th</sup>(F) კილოების მონაცვლეობა (რაც ორივე საყრდენს, ცენტრს, თანაბრად წარმოაჩენს და რომელშიც ზედა (F) კილო, როგორც აღინიშნა, მცხეთის სალამურის პირველი ტეტრაქორდის ანალოგიაა), ან II<sup>j</sup> (F) და II<sup>th</sup>(B) კილოების მონაცვლეობა (ასევე, ორი საყრდენით, სადაც ზედა (B) კილო მცხეთის სალამურის მეორე წყობის ანალოგიაა). თუმცა ჯერჯერობით არ გამოვლენილა ისეთი საგალობლები, რომლებიც მხოლოდ II<sup>j</sup>(F) ან II<sup>th</sup>(B) კილოებში ულერს. როგორც წესი, ეს კილო-ბგერათრიგები საკუთარი ცენტრებით – II<sup>j</sup>(F) და II<sup>th</sup>(B) – ერთი საგალობლის ფარგლებში მონაცვლეობს. ნაკლებად, მაგრამ ასევე გვხვდება

<sup>14</sup> საგალობლებისაგან განსხვავებით, ხალხური სიმღერები კილოურად უფრო მრავალფეროვანია და მათ აქ არ განვიხილავთ.

<sup>15</sup> „2-ბემოლიანი“ ბგერათრიგი მისი ტესიტურული ნიშნით შევარჩიეთ სანოტო მაგალითების ილუსტრირებისთვის, რადგან პრაქტიკული თვალსაზრისით, ვრცელური მუზიკირებისას უფრო მოსახერხებელია. შესაბამისად, „2-ბემოლიანი“ კილო, თეორიული თვალსაზრისით, რაიმე განსაკუთრებულ დატვირთვას არ ატარებს და პირობითი ცნებაა.

<sup>16</sup> მთლიანი, სრულყოფილი სისტემა მოიცავს რამდენიმე კილო-წყობას, რომელიც ოროქტავიან დაბაზონში გვხვდება.

<sup>17</sup> კილოები ხშირად მოდულაციური წყვილების (ან კილო-კომბინაციების) სახით გვხვდება, კერძოდ: I კილო-კომბინაცია მიუთითებს C-F კილოების წყვილზე, სადაც C და F პირობითი ცნებებია და არ აღნიშნავს რეალურ სიმაღლებრივ ხარისხს. ამ წყვილში C წარმოადგენს კილო-კომბინაციის ქვედა (ტესიტურულად) კილოს, ხოლო F – ზედას. ამგვარად, ეს უკანასკნელი გამოისახება შემდეგნაირად: I<sup>th</sup>(F), ხოლო C – I<sup>j</sup>(C). ასეთივე პრინციპით, მეორე კილო-კომბინაციაში იგულისხმება F და B კილოების წყვილი, რომელშიც F კილოს ინტერვალური შემადგენლობა (აკუსტიკურად) მცირდება განსხვავდება I წყვილის F კილოსაგან და ამავე დროს II კილო-კომბინაციაში ტესიტურულად ქვედა პოზიციაზეა. შესაბამისად, იგი გამოისახება შემდეგნაირად: II<sup>j</sup>(F), ხოლო B კილო – II<sup>th</sup>(B).

შემთხვევები, როდესაც საგალობლის მუხლი იწყება II<sup>o</sup>(B) კილოში და შემდეგ გრძელდება არა I<sup>j</sup>(F) კილოში, არამედ I<sup>j</sup>(G)-I<sup>o</sup>(C) კილოთა კომბინაციაში. თუმცა ამ შემთხვევაში G ბგერათრიგი არის I<sup>j</sup>(C) კილოს ტრანსპოზიცია G ბგერიდან, ხოლო C იმეორებს I<sup>o</sup>(F) კილო-წყობას. შესაბამისად, G და C ბგერათრიგები 1 ბერილითაა წარმოდგენილი. ასეთ შემთხვევებში დომინანტ კილოდ II<sup>o</sup>(B) ბგერათრიგს (რომელიც რეგისტრულად უფრო მაღალ პოზიციაზეა) მივიჩნევთ, რადგან ქვედა, II<sup>j</sup>(F) კილოს II<sup>o</sup>(B) კილოსკენ ლტოლვა ახასიათებს.

როგორც კვლევებმა გამოავლინა, გალობის ოთხ კილოში – I<sup>o</sup>(F), I<sup>j</sup>(C), II<sup>o</sup>(B), II<sup>j</sup>(F) – ორი განსხვავებული წყობა (მეზობელ ბგერებს შორის ცენტობრივი სიდიდის მიხედვით) გვხვდება.<sup>18</sup> ქვემოთ წარმოდგენილია ოთხივე კილო ხუთხაზიან სანოტო სისტემაში ადაპტირებული სახით:

### ა) I<sup>o</sup>(F) კილო

აღნიშნული კილოს პირველ ტეტრაქორდს (**f-es-d-c**)<sup>19</sup> ერწყმის იმავე შედგენილობის ქვედა ტეტრაქორდი (**c-b-a-g**).

№2:

Musical notation example 2 shows a sequence of notes in F major (I<sup>o</sup>(F)). The notes are grouped by measure, with tempos indicated above each group: 172 BPM, 154 BPM, 172 BPM, 172 BPM, 154 BPM, 172 BPM, 204 BPM.

### ბ) I<sup>j</sup>(C) კილო

აღნიშნული კილოს პირველ ტეტრაქორდს (c-b-a-g) ებმის იგივე ინტერვალური შედგენილობის ქვედა ტეტრაქორდი (f-es-d-c), რაც ორ ტეტრაქორდს შორის 204 ცენტიან გამყოფ სეკუნდას ქმნის.

№3:

Musical notation example 3 shows a sequence of notes in C major (I<sup>j</sup>(C)). The notes are grouped by measure, with tempos indicated above each group: 172 BPM, 154 BPM, 172 BPM, 204 BPM, 172 BPM, 154 BPM, 172 BPM.

<sup>18</sup> აქედან პირველი წყობა ახასიათებს როგორც I<sup>o</sup>(F) შერწყმულ, ასევე I<sup>j</sup>(C) გაყოფილ კილოებს. ტეტრმინები შერწყმული და გაყოფილი ნასესხებია იური ხოლოპავლიშვან, რომელიც ტეტრაქორდების ერთმანეთთან შებმის ორგვარ ხერხს განიხილავს ძველბერძნული ტრადიციის მიხედვით [Холопов, 1974: 306]. აღნიშნული წესის თანახმად, შერწყმულში პირველი ტეტრაქორდის ბოლო ბგერა წარმოადგენს იმავე სტრუქტურის მქონე მეორე ტეტრაქორდის საწყის ბგერას, ხოლო გაყოფილში გამყოფი (მთელი) ტონი (g-f, რომელიც 204 ცენტს უდრის) შუაშია მოქცეული.

<sup>19</sup> ეს მცხეთის სალამურზე რიგით პირველი ტეტრაქორდი (f-es-d-c) და სუფთა წყობაში იკვრება.

### გ) II<sup>ხ</sup>(B) გაყოფილი კილო

აღნიშნული კილოს ტეტრაქორდის ინტერვალური შემადგენლობა (**b-a-g-f+es-d-c-b**) განსხვავებული I<sup>ზ</sup>(F) და I<sup>ქ</sup>(C) კილოების ტეტრაქორდებისაგან და დამოუკიდებელი იერი აქვს.

№4:

### დ) II<sup>ქ</sup>(F) კილო

რაც შეეხება მეოთხე კილო-ბგერათრიგს II<sup>ქ</sup> (F), ის ხუთხაზიან სისტემაში ემთხვევა I<sup>ზ</sup>(F) კილოს წყობას. მიუხედავად ამისა, ქართული კილოური წყობის თავისებურებების გათვალისწინებით, მისი ინტერვალური შედგენილობა აკუსტიკურად მცირედ, მაგრამ შინაარსობრივად არსებითად განსხვავებულია.

№5:

მოცემული ოთხი კილოდან შერწყმული აგებულებისა მხოლოდ ერთია – 2-ბემოლიანი I<sup>ზ</sup>(F) კილო. სხვადასხვა სამგალობლო ნიმუშში კილოები შესაძლოა, წარმოდგენილი იყოს სხვადასხვა სიმაღლიდან, მაგალითად: Es-დან (4-ბემოლიანი), G-დან (უნიშნო), C-დან (1-ბემოლიანი) და სხვ. შესაბამისად, ყველა მაგალითი, რომელსაც განვიხილავთ თუნდაც შერწყმული კილოს ფარგლებში, გადმოცემულია I<sup>ზ</sup>(F) კილო-წყობაში სხვადასხვა რეგისტრულ სიმაღლეზე, რაც იწვევს საგასასაღებო ნიშნების ცვლას. I<sup>ქ</sup>(C) და I<sup>ზ</sup>(F) კილოთა მსგავსად, II<sup>ქ</sup>(F) და II<sup>ზ</sup>(B) ურთიერთმონაცვლე კილოებია.

გარდა ამისა, როგორც I<sup>ზ</sup>(F) და I<sup>ქ</sup>(C) კილოებს აქვთ იდენტური წყობა და მხოლოდ საყრდენები (c და f) განასხვავებს, ისევე II<sup>ქ</sup>(F) და II<sup>ზ</sup>(B) კილოებსაც საერთო ინტერვალური წყობა აერთიანებს, რომელშიც II<sup>ქ</sup>(F) კილოს შედგენილობა მცირედ განსხვავდება I<sup>ზ</sup>(F)-გან.

ამგვარად, ქართული გალობის კილოური ბუნება ვლინდება ოთხი კილო-ბგერათრიგის მეშვეობით, რომელთაც სამი – f, c და b – საყრდენი (ცენტრი) წარმოადგენს. საკითხისა ამგვარი თეორიული განზოგადების საფუძველს ამ კილოებში გადმოცემული ქართული საეკლესიო სამგალობლო რეპერტუარი იძლევა. მაგალითად:

1) I<sup>ზ</sup>(F) კილოში, რომელიც იწარმოება ორი შერწყმული დაღმავალი ტეტრაქორდის შებმით და რომლის საყრდენია (ცენტრია) f, გადმოცემულია

შემდეგი საგალობლები: ადიდე, სულო ჩემო; აღდგომასა შენსა; ვერ-შემძლებელ ვართ; მხოლოდ-შობილი (პირველი მუხლის გარდა) და სხვ.


2) Iქ(C) კილოში, რომელიც ინარმოება ორი გაყოფილი დაღმავალი ტეტრაქორდის ერთმანეთთან გამყოფი ტონით (g-f) შებმით და რომლის საყრდენია (ცენტრია) c, წარმოდგენილია საგალობლები: მამასა და ძესა, სულო ჩემო, ქრისტე აღდგა, ის პოლა და სხვ.

3) IIზ(B) კილოში, რომელიც ასევე ორი დაღმავალი გაყოფილი ტეტრაქორდის შებმის შედეგად (გამყოფი ტონით f-es) ინარმოება და რომლის საყრდენია (ცენტრია) b, უღერს საგალობლები: მთასა ზედა, მამაო ჩენო, მოვედით და ვსვათ, შესვლადები, ესაია და სხვ. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ პირველი წყობის ზედა (F) და ქვედა (C) კილოებისაგან განსხვავებით, II წყობის (B და F) კილოები დამოუკიდებლად არ გვხვდება და აუცილებლად კილო-კომბინაციების, ანუ მოდულაციური წყვილების სახითაა წარმოდგენილი.

4) IIქ(F) კილო ინტერვალების აკუსტიკური მაჩვენებლებით მცირედ განსხვავდება Iზ(F) კილოსაგან და IIზ(B) კილოსთან მონაცვლეობს, როგორც, მაგალითად, საგალობლებში – მთასა ზედა, შესვლადები. IIქ(F) კილო ყოველთვის II წყობის მოდულაციურ წყვილში IIზ(B) გვხვდება.

საბოლოოდ კი, როგორც ამ თავის დასაწყისში აღინიშნა, ოთხივე კილოს გაერთიანების შედეგად ვიღებთ ერთ მთლიან, სრულყოფილ სისტემას, რომელიც რამდენიმე კილოს მოიცავს. ეს სისტემა იწყება b საყრდენიდან (ცენტრიდან) და დაღმავალი მიმართულებით ოროქტავიან დიაპაზონზეა განვრცობილი:

№6:



ეს ოროქტავიანი დიაპაზონი წარმოადგენს საგალობლის კილოური მრავალფეროვნების წყაროს და ასპარეზს, რომელშიც ნაირგვარი მოდულაციური სქემების მეშვეობით მრავალფეროვანი მუსიკალური სახეები იქმნება.

### 3. საგალობლის კომპოზიციური ფორმა და შინაარსი. მუხლის რაობა

ქართული სამგალობლო რეპერტუარის კილოური მახასიათებლების დასადგენად საჭიროა დაკვირვება ელემენტებზე, რომელებიც თავს იყრის ერთ კონკრეტულ მუსიკალურ-სტრუქტურულ ერთეულში, საგალობლის მუსიკალურ აზრს, შინაარსს რომ გადმოსცემს. ქართულ მუსიკოლოგიაში ეს ელემენტი მუხლის სახელწოდებითაა ცნობილი. შეიძლება ითქვას, რომ

მუხლი საგალობლის ერთგვარი კვინტესენციაა, რადგან ამა თუ იმ საგალობლის ზოგად იერსახეს მისი მუხლების რაობა განსაზღვრავს და სწორედ მუხლების კანონზომიერი ერთობა ქმნის საგალობლის მთლიან ფორმას. თუმცა იმისათვის, რომ უკეთ გავიაზროთ მუხლის რაობა და მისი მნიშვნელობა საგალობელში, ქვემოთ მასზე უფრო დეტალურად შევჩერდებით.

**3.1. მუხლების კანონზომიერებები და კვლევის მეთოდი.** მუხლების კანონზომიერებების გამოსავლენად ძირითადად შედარებითი მეთოდი გამოვიყენეთ. სწორედ შედარებითი სტრუქტურული და კილოური კვლევებისთვის შერჩეულ საარქივო ფონოჩანანერებზე (არტემ ერქომაიშვილის, დიმიტრი პატარავასა და სხვების) ანალიზმა შეგვაძლებინა ცალკეული მუხლების აღნერის საფუძველზე 90-მდე ერთგვაროვანი მუხლის, მათ შორის, 20-მდე ე. წ. მოგზაური მუხლის გამოვლენა. როგორც აღმოჩნდა, ამა თუ იმ მუხლის მუსიკალურ და სტრუქტურულ იდენტობას, იერსახეს რამდენიმე მახასიათებლის, კერძოდ: კილოს, მეტრის, რიტმის, საწყისი და დამაბლობებელი საფეხურების, აგრეთვე, მარცვლების განაწილების პრინციპის – ერთობლიობა განსაზღვრავს. რაც მთავარია, თითოეული მუხლი ამ ნიშან-თვისებებს ინარჩუნებს ნებისმიერ საგალობელში, რაც მიუთითებს მის სტაბილურობასა და, შესაბამისად, მზა მოდელების არსებობაზე, რაც მუხლის აგების კანონიკას გულისხმობს.

საკითხის დეტალურ განხილვამდე მოვიყვანთ ერთ-ერთი ასეთი მუხლის „მოგზაურობის“ ნიმუშს სამ სხვადასხვა საგალობელში:

№7. მოვედით და ვსვათ [ქსგ, შს, 2006: 12]:

II<sup>h</sup>(B)

მო - ვა - და - თ და ვსვათ სა - სხვ - ლი ა - ბა - ლი

№8. საღმრთოსა სახმილავსა [იქვე: 17]:

II<sup>h</sup>(B)

სა - ღმრთო - სა სა - სხვ - ლავ - სა ზე - და

№9. მამაო ჩვენო [ქსგ, შს, 2006: 213]:

ი - ყავნ ნე - ბა შე - ნი ვი - თარ - ცა ცა - თა ში - ნა,

როგორც ვხედავთ, მოცემულ ნიმუშებში კარგადაა გამოკვეთილი ერთი კონკრეტული მუხლის მელოდიური კონტურები, კომპოზიციური ჩარჩო და

მისი ცვლილების ხარისხი.

ძლისპირების – საიდუმლო უცხო, ნათელი ნათლისაგან – და დ ხმის ტროპართაგან სანიმუშოდ მოტანილი ამაღლების ტროპარის ბოლო მუხლების შედარებითი ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, აგრეთვე, საგალობლების მუხლის ზოგადი მახასიათებლები, როგორებიცაა:

- კილოური ნიშანი;
- მარცვლების განაწილების პრინციპი;
- მეტრული საზომი გამლერებიდან მუხლის ბოლომდე;
- მუხლი მთავრდება იქ, სადაც კადანსია.

საიდუმლო უცხოს ბოლო მუხლი თავიდან დ ხმის ტროპარის დამაბოლოებელ მუხლად მიმაჩნდა. მოგვიანებით ამ ორ მუხლს ძლისპირის ნათელი ნათლისაგან ბოლო მუხლი შევადარე, რომელიც მანამდე ასევე დ ხმის ტროპარის დამაბოლოებელ მუხლად წარმომედგინა. მართლაც, ეს სამი მუხლი ერთმანეთთან გარკვეულ სიახლოვეს ამჟღავნებს, თუმცა შემდგომმა დაკვირვებამ ცხადყო ამ აზრის სიმცდარე. კერძოდ, სამივე მუხლში გამლერებიდან მეტრი განსხვავებულია (პიმნოგრაფიული ტექსტები თავისუფალი პოეტური საზომით არის გადმოცემული და მეტრულად მრავალფეროვანია [ინგოროვა, 1965: 74, 84]. განსხვავებულია: მარცვლების განაწილების პრინციპები; საწყისი, შუა და დამაბოლოებელი მუსიკალური საქცევები; საწყისი და ბოლო საფეხურები, ერთი მოცემული კილოს ფარგლებში კილოური მრავალფეროვნების ელფერი რომ შემოაქვს. აღნიშნული შედეგიც მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ორი თვალსაზრისით: а) მყარად გამოჩნდა მუხლის, როგორც კანონიკური ერთეულის მახასიათებლები; ბ) შესაძლებელი ხდება სანოტო ხელნაწერებში არსებული დიდი მოცულობის მასალის მოწესრიგება – მათი კილოში გამართვა და შეცდომების გასწორება.<sup>20</sup> სამი ერთგვაროვანი მუხლის გაანალიზების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი სურათი:

ა) ამაღლების ტროპარის მუხლს, ისევე როგორც, ზოგადად, დ ხმის ტროპარისა და ლალადვყავის ბოლო მუხლებს, გამლერებიდან ბოლო ბერადე 20 თვლა (ზომის ერთეული) აქვს. იწყება (ზემოდან) I საფეხურზე და მთავრდება (ზემოდან) VII-ზე; ჰანგის ტექსტის მარცვლებთან შეფარდება შემდეგნაირია: 1+3+5 (შე+წყალებად+სულ-თა-ჩვენ-თა-თვის). ამგვარად, ეს არის ამ მუხლის მყარი კანონიკური სტრუქტურა.

<sup>20</sup> ანალოგიური სამუშაო ნაწილობრივ აქვს ჩატარებული თამარ ჩხეიძეს, კერძოდ, ტროპარის დ ხმის მუხლების ანალიზის საფუძველზე მან გამოავლინა მარცვლების განაწილების ერთგვაროვანი პრინციპი [ჩხეიძე, 1999: 100].

№10. ამაღლდი დიდებით [იქვე: 141]:

ავაჯი  
გამღერება

VII

რა-მე-ოუ შე-ნ      სა - ი - არ      ძე ღმრთი-სა,      მხსნე-ლი სოფ-ლი-სა.

ბ) საიდუმლო უცხოს ბოლო მუხლს გამღერე ბიდან ბოლო ბგერამდე 14 თვლა აქვს; მუხლი იწყება (ზემოდან) | საფეხურზე და მთავრდება (ზემოდან) VII-ზე. ჰანგის ტექსტთან თანაფარდობა შემდეგნაირია: 2+5 („-ლი, რო + მელ-სა უ-გა-ლობ თ“). ეს არის მოცემული მუხლის მყარი კანონიკური სტრუქტურა (შდრ. საგალობ ლების – შენ, რომელმან; ადიდე შენ, მაცხოვარ [ხეცხ Q-684: 99], ბრძანებასა უსჯულოსა [ხეცხ Q-684: 98] – ბოლო მუხლები და, ასევე, სხვა ძლისპირები აღნიშნული ხელნაწერიდან).

№11. საიდუმლო უცხო [ქგ, თმ, 2004: 1]:

Ib(G)      Ib(F)

VII

და - უ - ტევ - ნე - ლი, რო - ი - მ      მელ - სა უ - გა-ლობთ.

გ) საგალობლის – ნათელი ნათლისაგან – მუხლს გამღერებიდან ბოლო ბგერამდე 24 თვლა აქვს, იწყება ზემოდან | საფეხურზე და მთავ რდება ქვემოდან I-ზე. სიტყვა-ჰანგი განაწილე ბულია პრინციპით: 1+3+5 („მენ + მა-ცხო-ვარ + შე-გვი-ნყა-ლენ ჩვენ“) მარცვლებზე, რაც ამ მუხლის მყარი კანონიკური სტრუქტურაა (შდრ. ნინადაცვეთის ტროპარი რომელი საყდართა ზედა; უფალო, ღაღადვყავის ა ხმის ბოლო მუხლი, რომელიც ქსგ 1 ტომში არასწორ კილოშია წარმოდგენილი).

№12. ნათელი ნათლისაგან [იქვე: 7]:

ავაჯი  
გამღერება

I

წმინ - და ხარ შენ, გა - ცხო - ვარ,

შე - გვი - ნყა - ლენ ჩვენ.

№13. ნათელი ნათლისაგან [ხუნდაძე, №2101: 59]:

№14. ნათელი ნათლისაგან, რედაქტირებული ტემპერაციაში:

ეს სამი მუხლი, მათ შორის არსებული მელოდიური მსგავსების მიუხედვად, სრულიად განსხვავებულია.

მუხლებს შორის საერთო და განმასხვავებელი ნიშნების გამოსავლენად აუცილებელია:

ა) მუხლში ან საქცევში გავმიჯნოთ ავაჯის/წართქმის ნაწილი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გამლერებისაგან;

ბ) განვსაზღვროთ ჰანგის თავისუფალ მეტრში შემავალ გრძლიობათა რაოდენობა მუხლის გამლერებიდან;

გ) დავთვალოთ სიტყვიერი მარცვლების რაოდენობა გამლერებიდან და მივყეთ მათი განაწილების პრინციპს;

დ) განვსაზღვროთ მუხლის კილოს საწყისი და დამაბოლოებელი მართებული საფეხურები;

ე) საჭიროების შემთხვევაში გამშვენებული ჰანგი დავიყვანოთ სადა კილომეტრი;

ვ) გამოვყოთ ჰანგის ძირითადი ბერები – საყრდენები.

თუ ბ, გ და დ პუნქტებიდან რომელიმე დარღვეულია, მუხლი ან საქცევი არ შეიძლება ჩაითვალოს მყარი კანონიკური თვისებების მქონე ერთეულად. ეს წესრიგი განსაკუთრებით კარგად ვლინდება დამაბოლოებელ მუხლებსა და ძლისპირებში.

მუსიკალური ანალიზის შედეგად ასევე დადგინდა მუხლის რამდენიმე ტიპი:

1. მუხლი, რომელსაც გამლერებიდან აქვს ზუსტი ხანგრძლივობა, ჰანგზე მარცვლების განაწილების სწორი პრინციპი, თავისი სიმყარე კილოტონალობასთან მიმართებით – ანუ აქვს დაწყების, განვითარებისა და დასრულების ერთგვაროვანი მახასიათებლები, სადაც არ უნდა შეგვევდეს იგი კილოტონალობის ფიქსირებული საფეხურიდან დაწყებით, შესაბამისი განვითარებით და კილოტონალობის ფიქსირებულ საფეხურზე დაბოლოებით. ასეთი შემთხვევა მუხლის მყარ კანონიკურ სტრუქტურას წარმოადგენს. ეს იმას ნიშნავს, საგალობლის ტექსტის ჰანგზე გაწყობისას ეს პრინციპი აუცილებლად უნდა იქნას დაცული.

№15. გობამან შენმან [ქსგ, შს, 2006: 79]:

I<sup>b</sup>(F) გამლერება VII  
აღ-მო-სა-ვალ-თა - ი - ათ, უ - ფა - ლო, დი - დე - ბა შენ-და.

№16. დღეს ცხოვრებისა [იქვე: 112]:

I<sup>b</sup>(F) გამლერება VII  
დღე - ი - ვ - ბუ - ლო, უ - ფა - ლი შენ თა - ნა.

2. მუხლი, რომელშიც შეიძლება დაცულ იქნას გამლერებიდან ზუსტი ხანგრძლივობა, მუხლის დაწყება-დამთავრების სწორი საფეხურები, მაგრამ არ ემთხვეოდეს მარცვლების განაწილების პრინციპი. ამ შემთხვევაში მუხლი სრულად არ ემყარება მყარ კანონიკურ საფუძველს.

№17. კანონად სარწმუნოებისა [ხეცხ Q-672: 459]:

I<sup>b</sup>(F) გამლერება VII  
შე - ნეა - ლე - ბა - დ სუ - ლ - თა ჩვენ - თა-თვის.

3. მუხლი, რომელშიც შეიძლება დაცულ იქნას გამლერებიდან ზუსტი ხანგრძლივობა, მარცვლების განაწილების პრინციპი, მაგრამ შესაძლოა, არ ემთხვეოდეს დაწყება-დამთავრების საფეხურები. ამ შემთხვევაშიც მუხლი სრულად არ ემყარება მყარ კანონიკურ საფუძველს. წესით, ეს მუხლი უნდა მთავრდებოდეს VII საფეხურზე.

№18. საიდუმლო უცხო [ქსგ, 2, 2002: 71]:

I<sup>b</sup>(F) გამლერება VI  
უ - ტევ - ნე - ლი, რო - მელ - სა უ - გა-ლობთ.

**3.2. მუხლის როლი და ქცევის ფორმები.** კომპოზიციური სტრუქტურისა და ფორმის დადგენასთან ერთად, მუხლების ანალიზის მეშვეობით შესაძლებელია საგალობლის მუსიკალური იერსახის განსაზღვრა.

მუხლის ანალიზი რამდენიმე კომპოზიციანია და მოიცავს:

1. მუხლის ჰანგის კონტურების გამოვლენასა და მის სტრუქტურულ ანალიზს (ჰანგზე მარცვლების გადანაწილების პრინციპების მეშვეობით);

2. საგალობლის მუხლის კილოურ ანალიზს (მოდულაციების ჩათვლით);
3. კადანსური საქცევების კლასიფიკაციას;
4. მუხლების იერსახის აღწერის მეშვეობით ერთგვაროვანი მუხლების გამოვლენას და ა.შ.

მუხლი, შესაძლოა, განვითარდეს სამი – დაღმავალი, აღმავალი ან წრიული (ცენტრის გარშემო) – მიმართულებით. ეს პროცესი ააშკარავებს მუხლის კილოს საფეხურების როლსა და მნიშვნელობასაც. მაგალითად, დაღმავალი მიმართულებით მოძრაობისას მკაფიოდ ჩანს | საფეხურის, როგორც საყრდენი ბერის ფუნქცია (მაგ., საიდუმლო უცხო). თუმცა გვხვდება საგალობლები, რომლებშიც თავიდანვე არ ჩანს | საფეხური. მუხლები კილოს სხვადასხვა საფეხურიდან იწყება და აღმავალი მიმართულებით მოძრაობს, როგორც, მაგალითად, საგალობელში დაღაცათუ ნებსით თვისით.

ზემოაღნიშნული კანონიკა და წესრიგი ეხება ცალკეული მუხლობრივი ერთეულის სტრუქტურას. რაც შეეხება მუხლების გადანაწილების პრინციპს საგალობლის მთლიან კომპოზიციაში, ამ თვალსაზრისით შეიძლება გამოიყოს სანყისი, შუალედური და დამაბოლოებელი მუხლები. ამგვარი კლასიფიკაცია რამდენიმე კრიტერიუმის საფუძველზე ხდება, რომელთა შორის კილოურ თავისებურებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. კილოური წესრიგი განსაკუთრებით თვალსაჩინოდ ჩანს მუხლების კადანსური ნაგებობების დამაბოლოებელ საფეხურებში.

**3.2.1. მუხლის კილოს დადგენა.** მუხლის მახასიათებლებს შორის ერთ-ერთი მთავარი ნიშან-თვისება, რომელიც მას სხვა მუხლებისაგან გამოარჩევს, მისი კილოური იერსახე და კუთვნილებაა. ესა თუ ის მუხლი აუცილებლად ჟღერს არსებულ ოთხ კილოთაგან ერთ-ერთში. იმისათვის, რომ განისაზღვროს, თუ რომელ კილოშია მუხლი, აუცილებელია შემდეგი გარემოებების გათვალისწინება:

ა) მუხლის დასაწყისში ან დასასრულს უნდა გამოჩნდეს კილოს ცენტრი (ძირითადი ბერა), ანუ | საფეხური, ძირითადი და არა გამვლელი ფუნქცითა და როლით;

ბ) ძირითად ბერაზე უნდა მოდიოდეს მარცვალი ან ძლიერი დრო. როგორც წესი, კილოს ცენტრები ყველაზე კარგად ჩანს სადა კილოში. ამის საილუსტრაციოდ მოგვყავს არტემის ანგელოზი ღალადებს და აღდგომისა დღე არს, რომლებშიც ჩანს I<sup>¶(C)</sup>-სა და I<sup>¶(F)</sup>-ის მონაცვლეობა.

№19. ანგელოზი ღალადებს [ქსგ, შს, 2006: 26]:

I<sup>¶(C)</sup>

II

I

I<sup>¶(F)</sup>

I

ან - გვ - ა - ი - ლო - ზი ლა - ლა-დებს: მი - მა-დლე-ბუ - ლო ნეინ - და -

№20. ალდგომისა დღე არს [იქვე: 5]:

იგივე ხდება არტემის მთასა ზედაშიც, ოლონდ ამ შემთხვევაში IIj(F) და IIj(B) კომბინაციით:

№21. მთასა ზედა [იქვე: 123]:

გარდა ამისა, მუხლის კილოს დადგენისას გასათვალისწინებელია ისიც, თუ რომელი საფეხურიდან იწყება. მაგალითად, საწყისი და შუალედური მუხლები შეიძლება დაიწყოს I-II-III-IV-V საფეხურებიდან და არავითარ შემთხვევაში VI, VII, ან VIII საფეხურებიდან. დაწყება შესაძლებელია, აგრეთვე, ზედა VII საფეხურიდან და უკიდურეს შემთხვევაში – ზედა VI საფეხურიდან.

Ij-Ij კილო-კომბინაციის **მრავალმუხლიან** საგალობელთა ბოლო მუხლები, როგორც წესი, Ij კილოს I საფეხურზე იწყება და მთავრდება კილოს ნებისმიერ საფეხურზე, გარდა II და IV საფეხურებისა, თუმცა არ გამოვრიცხავთ ამის თეორიულ შესაძლებლობას. თუ საწყისი ან შუალედური მუხლი Ij კილოში მთავრდება II საფეხურზე, ასეთი შემთხვევა მოდულაციის მაუწყებელია და იგი ნიშნავს, რომ გაჩნდა ახალი ტონალობა 1 საფეხურით ქვევით და წინა ტონალობის II საფეხური გადაიქცა ახალი ტონალობის I საფეხურად. Ij(C) კილოში დაბოლოება შესაძლოა, მოხდეს II საფეხურზე.

კვლევის ამ ეტაპზე სამგალობლო რეპერტუარში გამოიკვეთა კილო-კომბინაციების შიდა კანონზომიერებები, რომლებიც ორი, ზედა და ქვედა, საყრდენის მონაცვლეობას ემყარება. მაგალითად, კილო-კომბინაციებში – (Ij-Ij) და (IIj-IIj) წყვილებში – იკვეთება, შესაბამისად, C-F და F-B საყრდენები. თუმცა შემდგომა კვლევებმა შესაძლოა, გამოავლინოს დამატებით მოცემული კილოების სხვა საფეხურებიც, რომლებიც აგრეთვე ითავსებს საყრდენის ფუნქციას.

**3.2.2. ბანის როლი მუხლის კილოს დადგენაში.** ტრადიციული მუსიკის მკვლევრები მიიჩნევენ, რომ მოდალური მრავალხმიანი მუსიკის ნიმუშებში კილოს დადგენაში/გამოვლენაში ბანი წამყვან როლს ასრულებს. მიუხედავად იმისა, რომ ბანის ფუნქცია ამ მხრივ უდავოდ მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით – სასიმღერო რეპერტუარის კილოური ანალიზის დროს, საგალობლებში განსხვავებული სურათი იკვეთება.

როგორც აღვნიშნეთ, ქართულ სამუსიკო აზროვნებაში კილოები დაღმავალია. ზედა (I ხმა) გადმოსცემს ძირითად ჰქონდა და, შესაბამისად, სტაბილურია. ქვედა ხმები კი (განსაკუთრებით ბანი) შეიძლება სხვადასხვანაირად შეეწყოს, რაც მის მოქნილ და, გარკვეულწილად, არასტაბილურ ბუნებაზე მიუთითებს. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ კილოს განსაზღვრა ხდება ზემოდან ქვემოთ და არა პირიქით – ქვემოდან ზემოთ, როგორც ეს აქამდე იყო მიჩნეული. ბანი მოძრაობს ზედა ხმის მიხედვით, თუმცა ამავე დროს იგი ხელს უწყობს კილოს განსაზღვრასა და მისი სიმყარის წარმოჩენას. მოდულაციის დროს იგი ინიციატივას (აქტივობას) იშვიათად იჩენს. შესაბამისად, საგალობლებში ბანი ზედა (I) ხმის მიხედვით მოქმედებს და მისგან გამომდინარეობს. ამავე დროს, ბანი ყოველთვის მზად არის მოდულაციისთვის, რადგან იცის ზედა ხმები და წინასწარ გრძნობს, როდის შეიცვლება კილო. იგი ავსებს და ამთლიანებს საგალობელს. ეს განსაკუთრებით ჩანს სამგალობლო მრავალხმიანობაში.

ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვან როლს კილოს ფსიქო-ემოციური ასპექტი ასრულებს. საქმე ის არის, რომ ერთი და იმავე ინტერვალური შედგენილობის ტეტრაქორდებს შეიძლება განსხვავებული უღერადობა ჰქონდეს და არაერთგვაროვან ფსიქოემოციურ პასუხს იწვევდეს მსმენელში. როგორც ჩანს, ამისი ერთ-ერთი მთავარი მიზეზი კილო-ბგერათრიგის მიმართულებაა და ცნებები აღმავალი ან დაღმავალი მხოლოდ მიმართულებას კი არ გულისხმობს, არამედ ამ კონკრეტულ მიმართულებასთან დაკავშირებულ ფსიქოემოციურ დატვირთვასა და შინაარსსაც. მეტი სიცხადისათვის და პრინციპული განსხვავების წარმოსაჩენად ევროპული (შუა საუკუნეების) და ქართული დაღმავალი (გაყოფილი) კილოების შედარება გამოგვადგება: №22. შუა საუკუნეების დორიული კილო:

The musical notation consists of two staves. The top staff is in C major (I), starting with a C note and ending with a G note, with a fermata over the G note. The bottom staff is also in C major (I), but it shows the same notes (C, D, E, F, G) as eighth notes, ending with a G note. The staff lines are labeled 'I' and 'VIII' respectively above them.

№23. I<sup>j</sup>(C) – პირველი კილო-კომპინაციის ქვედა (C) კილო:

The musical notation consists of two staves. The top staff is in C major (I), starting with a C note and ending with a G note, with a fermata over the G note. The bottom staff is also in C major (I), but it shows the same notes (C, D, E, F, G) as eighth notes, ending with a G note. The staff lines are labeled 'I' and 'VIII' respectively above them.

როგორც ვხედავთ, ორივე ბეგერათრიგის მელოდიური ინტერვალური შემადგენლობა იდენტურია, თუმცა განსხვავდება ათვლის (საყრდენი) წერტილები, რამდენადაც აღმავალ კილოში საყრდენი (ცენტრი) ქვედა | საფეხურია, ხოლო დაღმავალში – ზედა | საფეხური. გარდა ამისა, აღმავალი დორიული კილო „მინორული“ მიხრილობისაა, ხოლო დაღმავალი გაყოფილი კილო „არამინორულ“ ბუნებას ამჟღავნებს. ქართულ „დორიულ“ წყობაში მოცემული სიმღერა-საგალობლები | საფეხურის, როგორც კილოური ცენტრის, გათვალისწინებით, უმეტეს შემთხვევაში „მაჟორული მიხრილობის“ კილოებად აღიქმება. ამისი მიზეზი კი ის არის, რომ კილოს ფორმირება ზევიდან ქვევით ხდება.

ნიშანდობლივია ისიც, რომ I<sup>ქ(C)</sup> (ე. ნ. დორიულ) კილოში საგალობელი არ მთავრდება ქვედა VIII საფეხურზე, რაც კილოს „მინორულობის“ შეგრძნებას გაამძაფრებდა. მოცემული მსჯელობის საილუსტრაციოდ არაერთი მაგალითი მოიპოვება ქართულ ტრადიციულ სამგალობლო რეპერტუარში. აქ ჩანს, რომ ბანი, ანუ ქვედა საყრდენი კი არ განსაზღვრავს კილოს, არამედ | ხმის ზედა, | საფეხურია მისი საფუძველი და ათვლის წერტილი. თვალსაჩინოებისთვის მოგვყავს ქრისტე აღდგას მაგალითი, რის მიხედვითაც ნათლად იკვეთება I<sup>ქ(C)</sup> კილოს „მაჟორული“ მიხრილობა.

№24. ქრისტე აღდგა [ქსგ, 4, 2006: 147]:

I<sup>ქ(C)</sup>

№25. ქრისტე აღდგა [იქვე: 146]:

I<sub>j</sub>(C)

ქრი - სტე აღ - დგა მკვდრე - თით, სიკვ - დი - ლი - თა სიკვ - დი - ლი - სა დამ - თრგუნ - ვე - ლი  
ქრი - სტე აღ - დგა მკვდრე - თით, სიკვ - დი - ლი - თა სიკვ - დი - ლი - სა დამ - თრგუნ - ვე - ლი

და სა - ფლა - ვე - ბის ში - ნა - თა ცხო - ვრე - ბის მიმ - ნი - ჭე - ბე - ლი.  
და სა - ფლა - ვე - ბის ში - ნა - თა ცხო - ვრე - ბის მიმ - ნი - ჭე - ბე - ლი.  
და სა - ფლა - ვე - ბის ში - ნა - თა ცხო - ვრე - ბის მიმ - ნი - ჭე - ბე - ლი.

№26. ქრისტე აღდგა [იქვე: 148]:

I<sub>j</sub>(C)

ქრი - სტე აღ - დგა მკვდრე - თით, სიკვ - დი - ლი - თა სიკვ - დი - ლი - სა დამ - თრგუნ - ვე - ლი  
ქრი - სტე აღ - დგა მკვდრე - თით, სიკვ - დი - ლი - თა სიკვ - დი - ლი - სა დამ - თრგუნ - ვე - ლი

და სა - ფლა - ვე - ბის ში - ნა - თა ცხო - ვრე - ბის მიმ - ნი - ჭე - ბე - ლი.  
და სა - ფლა - ვე - ბის ში - ნა - თა ცხო - ვრე - ბის მიმ - ნი - ჭე - ბე - ლი.  
და სა - ფლა - ვე - ბის ში - ნა - თა ცხო - ვრე - ბის მიმ - ნი - ჭე - ბე - ლი.

როგორც ვხედავთ, წარმოდგენილ სამ ნიმუშში შებანების სამი – ოქტავური, კვინტური და ნონის – ვარიანტია მოცემული. შესაბამისად, ბანი ცვალებადია და სამი განსხვავებული ინტერვალით ებმის | ხმას, რომელიც, როგორც ფუძე-ჰანგი, უცვლელი რჩება. ეს საკმარისი არგუმენტია იმის მტკიცებისათვის, რომ კილოს განსაზღვრა ხდება სწორედ ზედა ხმის მიხედვით, რადგან ბანის საფუძველზე კილოს დადგენა ერთსა და იმავე საგალობელში სამ სხვადასხვა კილომდე მიგვიყვანს, რაც სინამდვილეს სრულიად არ შეესაბამება.

**3.2.3. დამალული კილო.** გარდა ზემოთაღწერილი წესრიგისა და გამოვლენილი მახასიათებლებისა, რიგ საგალობლებში შეინიშნება განსხვავებული „ქცევა“, რაც ართულებს კილოს გამოვლენას. ამ ტიპის საგალობლებზე ინტენსიურმა დაკვირვებამ და ანალიზმა აჩვენა, რომ კილო შეიძლება „დაიმატოს“ და მის დასადგენად დამატებითი ინფორმაციისა და კრიტერიუმების მოშველიება გახდეს საჭირო. განვიხილოთ დამალული კილოს რაობა, რომელიც გამშვენებულ კილოში გვხვდება.<sup>21</sup>

მუხლის საწყის ბერძნებების თვალსაზრისით, დამაბოლოებელი ბერძნება. გამშვენებულ ვარიანტში მუხლი შეიძლება სადა კილოსაგან განსხვავებული ბერძნით დაიწყოს, მაგრამ დასკვნითი ბერძნოველთვის იდენტურია. კილოს დამალვის დროს მუხლი სმენითი შთაბეჭდილებით მისთვის მახასიათებელ კილოში არ უღერს, თუმცა გულისხმობს მას. ანუ კილოს შენიდვისას მგალობელი არ კარგავს სადა კილოს ღერძს, რაც ნათლად ჩანს მუხლის დამაბოლოებელი საფეხურით.

კილოს დამალვა რამდენიმე ხერხით ხდება:

1. სადა კილოს რამდენიმე ბერძნა დასაწყისში უღერს და შემდეგ უჩინარდება.

<sup>21</sup> საგალობლების კლასიფიკაციას პირველად ვხვდებით ე. კერესელიძის ხელნაწერში [ხეცხ Q-674: 1]. ავტორი განასხვავებს საგალობლის სადა, ნამდვილ და გამშვენებულ (გავარჯიშებულ) კილოებს. ამ შემთხვევაში (წერბა კილო გულისხმობს ჰანგის ჰარმონიული, ვერტიკალური ქსოვილის განსხვავებულ ვარიანტებს მარტივიდან კომპლექსურ ფორმებამდე. საგალობლის სადა ვარიანტებისთვის დამახასიათებელია I-II ხმებს შორის ტერციული და კვინტური, ხოლო განაპირა ხმებს შორის კვინტური და/ან ოქტავური პარალელიზმი. ნამდვილ კილოში იწყება ხმებს შორის კონტრაპუნქტული დაპირისპირება. პირველსა და ბანს შორის შეინიშნება კვინტური და/ან ოქტავური პარალელიზმისგან თავის დაღწევის მცდელობები. იგივე პროცესები შეინიშნება I-II ხმებს შორისაც. თავს იჩენს, აგრეთვე, ხმათა გაცვლის ტენდენციებიც. რაც შეეხება გამშვენებულ (გავარჯიშებულ) კილოს, კონტრაპუნქტული დაპირისპირების ინტენსივობა იზრდება, მძაფრდება, რასაც ემატება რიტმული ქსოვილის დატვირთვაც. უფრო აქტიურად გხვდება ხმათა გაცვლისა და გადაჯვარედინების შემთხვევები, ფართოვდება მოდულაციური პროცესები, რის შედეგადაც საგალობელი კილოურად მრავალფეროვანი ხდება. სწორედ გამშვენებულ ვარიანტებში გვხვდება ის უნიკალური კილოური პროცესები, რასაც კილოს დამალვას ვუწოდებთ.

№27. განათლდი, განათლდი. სადა კილო [ქსგ, შს, 2006: 29]:

სადა კილო

I<sup>b</sup>(F)      III      I      III

I<sup>b</sup>(F)      III      V      VII

ა - ნ ბე - ნ - ცა ი ბე - ი - ბდი - ნ, ლვთი - ს - მშო - ბე - ლო,

II

ა - ნ ბე - ნ - ცა ი ბე - ი - ბდი - ნ, ლვთი - ს - მშო - ბე - ლო,

ა - ნ ბე - ნ - ცა ი ბე - ი - ბდი - ნ, ლვთი - ს - მშო - ბე - ლო,

2. დასაწყისში უდერს კილოს მხოლოდ ერთი ბგერა და შემდეგ უჩინარდება, როგორც ეს, მაგალითად, გელათის სკოლის საგალობლის, მამასა და ძესას, გამშვენებულ ვარიანტშია. აქ, როგორც ვხედავთ, I<sup>j</sup>(C) კილო-ბგერათრიგის ცენტრი ც მხოლოდ დასაწყისში ჩანს.

№28. მამასა და ძესა [ქსგ, 1, 2004: 257]:

სადა კილო

I<sup>j</sup>(C)      I

I<sup>j</sup>(C)

მა - სა - მა - სა - სა და დე - სა

მა - სა - მა - სა - სა და დე - სა

მა - სა - მა - სა - სა და დე - სა

სადა კილო

3. კილოს არცერთი ბგერა არ უღერს, ანუ კილოს ყველა ბგერა (ბოლო ბგერის გარდა) დამალულია. ამ შემთხვევაში გზამკვლევი უნდა იყოს გამშვენებული საგალობლის სადა ვარიანტი, რომელიც კილოს დადგენაში გვეხმარება. ასე, მაგალითად, ქვემოთ მოყვანილი საგალობლის გამშვენებულ ვარიანტში დამალული I<sup>j</sup>(C) კილოს ცენტრი და მხოლოდ მისი სადა ვარიანტთან შედარება იძლევა მისი გამორკვევის საშუალებას.

№29. აღდგომისა დღე არს [ქსგ, შს, 2006: 6]:

სადა კილო

I<sup>j</sup>(C)

კილოს დამალვა ხდება უმეტესად, როდესაც მუხლი ან საქცევი იწყება I<sup>j</sup>(F) კილოს I-III და, ასევე, I<sup>j</sup>(C) კილოს I საფეხურებზე. ამ დროს ხდება I-II ხმების გადაჯვარედინება, რომლის დროსაც ეს უკანასკნელი II საფეხურიდან იწყებს მუხლს/საქცევს. ეს, ერთი შეხედვით, ქმნის სხვა კილოს შთაბეჭდილებას, თუმცა რეალურად სადა ვარიანტში მოცემული კილო იგულისხმება.

4. კილოს დამალვის კიდევ ერთი საინტერესო შემთხვევა გვხვდება,

როდესაც I<sup>o</sup>(F) კილოს || საფეხური დროებით მყარდება მის გარშემო მოტივის განვითარების მეშვეობით. ამ დროს || ხმა გადაჯვარედინების ხერხით კვარტას იღებს კილოს || საფეხურთან (რაც ჩანს სადა კილოს ვარიანტთან შედარებისას), ხოლო | ხმა – სეპტიმას | საფეხურთან (ესეც სადა კილოს ვარიანტთან შედარებისას ჩანს) და კვარტას – || ხმასთან.

№30. მოვედით და ვსვათ [ქართული საეკლესიო... 2003: 11].

სადა კილო

I<sup>o</sup>(F)

I<sup>o</sup>(F)

II

ამგვარად, გამოიკვეთა კილოს დამალვის ოთხი ვარიანტი, რომლებიც ზედა ხმის მოძრაობებს უკავშირდება. ქვემოთ მოყვანილი სანოტო ნიმუშები ასახავს კილოს დამალვის ოთხივე შემთხვევას და ამ მოვლენის უკეთ დემონსტრირების მიზნით თითოეულ მაგალითს თან ერთვის სადა კილოში ზედა (I ხმის მოძრაობის) შესაძლო ვარიანტი. მაგალითად:

ა) თუ ჰანგი სადა I<sup>o</sup>(F) კილოში ვითარდება I(f) საფეხურის გარშემო, გავარჯიშებისას – კილოს დამალვის შემთხვევაში – შუა ხმა და ბანი მუზიცირებს | საფეხურის სეკუნდაზე (es), ხოლო ზედა ხმა – კვინტაზე (b);

ბ) თუ ჰენგი სადა I<sup>j</sup>(C) კილოში მოძრაობს VII<sup>o</sup><sup>22</sup>(d) საფეხურის ირგვლივ, გავარჯიშებისას, კერძოდ, კილოს დამალვის შემთხვევაში შუა ხმა და ბანი ერთმანეთს ერწყმის | საფეხურის პრიმაში (c), ხოლო ზედა ხმა მუზიცირებს | საფეხურის კვარტაზე (g);

გ) თუ ჰენგი სადა I<sup>b</sup>(F) კილოში მოძრაობს II (es) საფეხურის ირგვლივ, კილოს დამალვის შემთხვევაში შუა ხმა და ბანი ერთმანეთს უნისონურად ერწყმის | საფეხურის კვინტაში (b), ხოლო ზედა ხმა მოძრაობს | საფეხურის ოქტავით ქვევით (f).

დ) თუ ჰენგი სადა I<sup>j</sup>(C) კილოში ვითარდება | (c) საფეხურის გარშემო, კილოს დამალვის შემთხვევაში შუა ხმა და ბანი ერთმანეთს ერწყმის | საფეხურის სეკუნდაში (b), ხოლო ზედა ხმა მუზიცირებს | საფეხურის კვინტაზე (f).

№31:

I<sup>b</sup>(F) სადა კილო

I<sup>b</sup>(F) დამალული კილო

I<sup>j</sup>(C) სადა კილო

I<sup>j</sup>(C) დამალული კილო

I<sup>b</sup>(F) სადა კილო

I<sup>b</sup>(F) დამალული კილო

I<sup>j</sup>(C) სადა კილო

I<sup>j</sup>(C) დამალული კილო

<sup>22</sup> კილოს ზედა VII საფეხური. რომაულ ციფრებსა და ასოით აღნიშვნებს („ბ“ – ზედა, „გ“ – ქვედა) მიემართავთ მაშინ, როდესაც მოძრაობა სცდება კილოს ცენტრს (ოქტავურ ჩარჩოს) აღმავალი/დაღმავალი მიმართულებით.

ამგვარად, დამალული კილო საკმაოდ რთული მოვლენაა და მისი იდენტიფიცირება დედანი (სადა) ვარიანტის მეშვეობითაა შესაძლებელი.<sup>23</sup>

**3.2.4. კილოური გადაცდომა.** როგორც აღინიშნა, საგალობლის ყველაზე მყარი სტრუქტურული ერთეულის – მუხლის მუსიკალურ მახასიათებლებს შორის ერთ-ერთი მთავარი მისი კილოურ იერსახეა. მუხლების კილოური ერთგვაროვნება და სტაბილურობა დასტურდება. კერძოდ, ყველა მუხლი, როგორც კომპოზიციური ერთეული, მისთვის დამახასიათებელ კილოშია გადმოცემული, რომლის დადგენას დიდი მნიშვნელობა ენიჭება სანოტო ხელნაწერებში მოცემული საგალობლების რედაქტირებისათვის. თუმცა კილოს გამოვლენა ყოველთვის არ არის მარტივი ამოცანა, რადგან გვაქვს შემთხვევები, როდესაც კონკრეტული მუხლი შეცვლილი იერსახით ჟღერს, რაც, ვფიქრობთ, მგალობლის მიერ დაშვებული გადაცდომით უნდა აიხსნას. აუდიოჩანანერებზე დაკვირვების შედეგად გამოვლენილმა ამგვარმა შემთხვევებმა მიგვიყვანა „სწორი“ და „მცდარი“ მუხლების კლასიფიცირებამდე, რაც შესაძლებელი გახდა გელათისა და შემოქმედის სკოლის შესვლადების (ეკლესიასა შინა; საშოთ მთიებისა; კურთხეულ არს; უფალო, მოგვივლინებოლო მუხლების შედარების მეშვეობით).

ამგვარი ანალიზის შედეგად აღმოჩნდა, რომ კილოური გადაცდომის ნიმუშია უფალო, მოგვივლინებ ბოლო მუხლი, რომელიც ხუთი საქცევისაგან შედგება. ყველა აუდიოჩანანერისა და სანოტო ხელნაწერის მიხედვით, იგი იწყება II<sup>6(B)</sup> კილოს I საფეხურიდან და მთავრდება IV-ზე. ეს პრინციპი დაცულია ყველა ზემოთ მოყვანილ საგალობელში, გარდა უფალო, მოგვივლინესი. იგი იწყება I საფეხურიდან, მაგრამ წინა (IV) საკადანსო საქცევის ამოვარდნის გამო გრძელდება არა II, არამედ III საფეხურით. საგალობელიც, შესაბამისად, მთავრდება V საფეხურზე.

№32. უფალო, მოგვივლინე [ქსგ, შს, 2006: 122]:

<sup>23</sup> ამიტომაც ამბობდა წმ. ექვთიმე კერესელიძე: კილო თუ არ იცი, გამშვენებას ვერაფერს გაუგებო [კერესელიძე, ხეცხ Q-674: 189-191]. დამალული კილო გამშვენების მნვერვალი და ქართული კილოური აზროვნების ბრწყინვალე ნიმუშია.

აღნერილი შეცდომა გამოვლინდა ამავე ჰანგის მქონე სხვა საგალობლებთან შედარებისას, რომლებშიც წარმოჩნდება ჰანგის სიმრთელე როგორც კილოური, ასევე საქცევების რაოდენობის თვალსაზრისით. ეს საგალობლებია: არტემის მიერ გადმოცემული ეკლესიასა შინა, კურთხეულ არს და გელათის სკოლის საშო(ე)თ მთიებისა. <sup>24</sup> მაგალითად:

№33. საშო(ე)თ მთიებისა [ხეცხ Q-674: 423]:

The musical notation consists of five staves. The top staff is labeled 'II(B)' and has a bass clef. The lyrics are: ჸენ ხარ მლვდელ უ - კუ - ნი - სამ - დე წეს - სა მას ზე - და მელ - ქი. The subsequent staves are labeled 'საქცევი 1', 'საქცევი 2', 'საქცევი 3', 'საქცევი 4', and 'საქცევი 5'. The bass line continues below them, with lyrics 'სა' under the fifth variant and 'IV' above it.

შედარებითი ანალიზის შედეგად მსგავსი ცდომილება ვლინდება, აგრეთვე, არტემის მიერვე ნაგალობევ ნათელი ნათლისაგანის ბოლო მუხლში, რომელიც, ნაცვლად VIII საფეხურისა, VII-ზე მთავრდება.

№34. ნათელი ნათლისაგან მოვლინებული [ქსგ, შს, 2006: 138]:

The musical notation shows a single melodic line with lyrics: ნმინ-და ხარ ჸენ, მა - ცხო - ვარ, შე-გვი-წყა-ლენ ჩვენ.

სამაგიეროდ, ვარლამ სიმონიშვილთან და დიმიტრი პატარავასთან ერთად არტემისვე გადმოცემულ ამავე საგალობელში მოცემული მუხლი სწორადაა შესრულებული.

<sup>24</sup> გარდა ამისა, ფილიმონ ქორიძის ხელნაწერებში არსებულ ყველა შესვლადშიც საქცევების რაოდენობა ზედმინევნით არის დაცული.

№35. ნათელი ნათლისაგან [ქგ, თმ, 2004: 7]:

I<sup>ხ</sup>(F)

საინტერესოა, რომ ერთი და იმავე მგალობლის (არტემ ერქომაიშვილის) მიერ ერთი და იმავე საგალობლის (ნათელი ნათლისაგან) ერთი და იგივე მუხლი ერთ შემთხვევაში სწორად არის გადმოცემული, ხოლო მეორე შემთხვევაში – მცდარად. გარდა ამისა, ა ხმის უფალო, ღალად-ვყავის ბოლო მუხლიც, რომელიც ნათელი ნათლისაგანის ზემოთ მოყვანილი მუხლის ანალოგიურია, ქორიძის, ხუნდაძისა და კერესელიძის ხელნაწერებში გამღერებიდან ყოველთვის | საფეხურზე იწყება და | საფეხურის ოქტავაზე მთავრდება.<sup>25</sup>

№36. უფალო, ღალად-ვყავ [ქსგ, 1, 2004: 29]:

I<sup>ხ</sup>(F)

<sup>25</sup> მას შემდეგ, რაც აუდიოჩანაწერებთან შედარების შედეგად გამოვლინდა „სწორი“ და „მცდარი“ მუხლები და დადგინდა ამა თუ იმ მუხლის კილო, შესაძლებელი გახდა „სწორი“ მუხლების მიხედვით საგალობელთა ხელნაწერების ხელასალი რევიზიაც. გამოირკვა, რომ, მაგალითად, ხუნდაძის ხელნაწერებში საგალობლის ზემოთ მოყვანილი მუხლი მართებულად ბოლოვდება კილოს | საფეხურის ოქტავაზე (VIII საფეხურზე) და ჩვენ მიერ მისი VII საფეხურით ჩასწორება უმართებულო ყოფილა (იხ. ხუნდაძის კრებულის პირველი რედაქცია: ქართული გალობა, გელათისა და მარტვილის სკოლა, 1999). ამავე აუდიოჩანაწერებს საშუალებით შესაძლებელი გახდა, აგრეთვე, მოცემული კილო-წყობის ინტერვალური შედგენილობის მიხედვით დედნისეულ ვარიანტში ნიშნების დაზუსტება. კერძოდ, თუ ხუნდაძის სანოტო ტრანსკრიფციაში მუხლი „აღპყრობა ხელთა ჩემთა“ უნიშნოდ იყო გადმოცემული, კილოს დადგენის შედეგად გაირკვა, რომ აღნიშნულ მუხლს I<sup>ხ</sup>(F) (2-ბემოლიანი) წყობა შეესატყვისება.

მსგავსი შემთხვევები სხვაგანაც გვხვდება. თუმცა, რამდენადაც მუხლის კილოური კუთვნილება წინასწარ განსაზღვრულია და მის კილოურ მახასიათებელს წარმოადგენს, ერთი და იმავე მუხლის სხვადასხვა კილოში გალობა გაუმართლებელია და წესისაგან გადახვევაზე, შეცდომაზე მიუთითებს.

**3.3. სეკვენციები.** ქართულ ტრადიციულ გალობას ახასიათებს მუსიკალური აზრის სეკვენციური გაშლა-განვითარებაც.<sup>26</sup> ზოგადად, მოგზაური მუხლი ინარჩუნებს როგორც სტრუქტურულ, ასევე კილოურ იერ-სახეს ნებისმიერ საგალობელში, სადაც არ უნდა გაჟღერდეს იგი. მთლიანი მუხლის, როგორც დასრულებული კომპოზიციური ერთეულის, სეკვენციური მოძრაობა არ შეინიშნება, ხოლო მუხლის უფრო მცირე ერთეულის, მოტივის, სეკვენციური გაშლა შესაძლებელია.

სეკვენციური განვითარების ხერხის გამოყენების თვალსაჩინო მაგალითია ბ) ხმის კონდაკი აღსდევ საფლავით, რომელშიც მუხლის – „განცვიფრდა“ – პირველი მარცვალი („გან“) სეკვენციურად ვითარდება როგორც აღმავალი, ასევე დაღმავალი მიმართულებით.

№37. აღსდევ საფლავით [ქსგ, 8, 2017: 313]:

ა)

ბ)

<sup>26</sup> სეკვენცია – მოტივის, ფრაზის ან ჰარმონიული პრეგნვის სხვა სიმაღლიდან უშუალოდ განმეორება იმავე ხმაში.

სეკვენციური ხერხის გამოყენება შესაძლებელია, აგრეთვე, განვრცობილი კადანსური ნაგებობის დამაბოლოებელ ნაწილში, როგორც ეს ნათლად ჩანს, მაგალითად, გელათისა და ქართლ-კახური სკოლების ქერუბიმთას ვარიანტებში.

№38. რომელნი ქერუბიმთა, გელათის სკოლა [ქსგ, 1, 2004: 247]:

ა)




ბ)




№39. რომელნი ქერუბიმთა, ქართლ-კახური სკოლა [ქსგ, 3, 2005: 303]:

ა)



ბ)



სეკვენციური ხერხის გამოყენების შემთხვევების დადასტურების მიუხედავად, აღნიშნული საკითხი უფრო მეტ ყურადღებასა და შემდგომ ჩალრმავებულ კვლევას მოითხოვს ქართულ ტრადიციულ გალობაში მისი როლისა და მასშტაბების უკეთ გამოსარკვევად.

#### 4. მოდულაციური სისტემა: მოდულაციის ტიპები. გადახრები

ქართული საეკლესიო გალობის ერთ-ერთ მთავარ მშვენებაა მოდულაციური სისტემა, რომელიც ერთი საგალობლის ფარგლებში კილოთა ნაირგვარი მონაცვლეობით ხასიათდება. ამ თავში წარმოდგენილია მოდულაციების და გადახრების ის ტიპები, რომლებიც მხოლოდ აუდიოჩანაწერებში გვხვდება. მათ შორისაა: არტემ ერქომაიშვილის, პა-

ტარავა-სიმონიშვილი-ერქომაიშვილის ტრიოს, სამუელ ჩავლეიშვილისა და გიგო ერქომაიშვილის ჩანაწერები.<sup>27</sup>

**4.1. მოდულაციის ტიპები.** გარკვეული პერიოდის ევროპული პროფესიული მუსიკის ჰარმონიის მსგავსად, ქართულ ტრადიციულ მუსიკასაც ახასიათებს სხვადასხვა ტიპის მოდულაციები. ქართულ ტრადიციულ მუსიკაში (ხალხური სასიმღერო შემოქმედების ჩათვლით), ძირითადად, სამი ტიპის მოდულაცია გვხვდება. მათი კლასიფიცირებისას გათვალისწინებულია შემდეგი კრიტერიუმები: საყრდენის (ცენტრის) სტაბილურობა-ცვალებადობა და კილოური სტაბილურობა-ცვალებადობა. ესენია:

1. ტონალური მოდულაცია: ამ შემთხვევაში იცვლება საყრდენი (ცენტრი) და უცვლელია კილოს ინტერვალური შემადგენლობა (სტრუქტურა). მაგალითად, როდესაც 2-ბემოლიანი I<sup>h</sup>(F)-დან ჩამოვდივართ 4-ბემოლიანი I<sup>h</sup>(E)-ში ან ავდივართ უნიშნო I<sup>h</sup>(G)-ში. მოდულაციის ეს ტიპი არის ყველაზე მეტად გავრცელებული, როგორც საეკლესიო გალობაში, ასევე ხალხურ სიმღერაში;

2. კილოური მოდულაცია. ამ დროს უცვლელია კილოს საყრდენი და იცვლება კილოური მიხრილობა (ნიშნები);

3. კილო-ტონალური მოდულაცია, როდესაც იცვლება ტონალური ცენტრიც და კილოური მიხრილობაც. ამ ტიპის მოდულაციის დროს შესაძლებელია ნიშნების შენარჩუნება I<sup>h</sup>(C)-I<sup>h</sup>(F) ან ნიშნების შეცვლა (2-ბემოლიანი II<sup>h</sup>(B)-დან 1-ბემოლიან I<sup>h</sup>(G)-ში).

**4.2. მოდულაციური პროცესი.** როგორც აღინიშნა, საგალობელთა კომპოზიციური განვითარება მუხლობრივ პრინციპებს ემყარება და მუსიკალური სახეების სიმდიდრეს მუხლების ნაირგვარობა უნიკობს ხელს. მუხლების მრავალფეროვნება დიდწილად კილოების მონაცვლეობის, ანუ მოდულაციური პროცესის შედეგია. კომპოზიციის დრამატურგიულ განვითარებაში დიდი მნიშვნელობა აქვს მაღალი და დაბალი ტესიტურის მქონე მუხლების მონაცვლეობასაც, რაც მეტნილად ჩვენ მიერ გამოკვეთილი ქვედა და ზედა კილოების ხარჯზე ხდება. მოდულაცია შესაძლებელია როგორც მუხლის შიგნით, აგრეთვე მუხლებს შორისაც.

აღსანიშნავია, რომ თუ ევროპულ ფუნქციურ სისტემაში გვხვდება თანმიმდევრული ან უეცარი მოდულაცია მამოდულირებელი საერთო აკორდის, ბერის ან დაპირისპირების მეშვეობით, ქართულ გალობაში ახალ კილოზე

<sup>27</sup> მიუხედავად ამისა, სანოტო მასალაზე დაკვირება უფლებას გვაძლევს ვიგარაუდოთ, რომ ქართული საეკლესიო გალობის მოდულაციური სქემების კიდევ უფრო მრავალფეროვნი, ფართო სპექტრი არსებობს. აუდიოჩანაწერების შესწავლის შედეგად გამოვლენილი სისტემის მიხედვით, პერსპექტივაში შესაძლებელია იმ სანოტო მასალის კილო-ტონალური კუთხით ჩასწორება, რომელსაც აუდიოდედანი არ გააჩნია. ამ მხრივ, შედარებით გამართულია ქართლ-კახური, ე. წ. კარბელაახთ კილოს საგალობლები, თუმცა ისინიც, როგორც დ. არაყიშვილიც აღნიშნავს, მორგებულია ფორტეპიანოს წყობას.

გადასვლა მეტწილად დაპირისპირების საშუალებით არის რეალიზებული. თუმცა გვხვდება თანმიმდევრული მოდულაციის შემთხვევებიც.<sup>28</sup> საგალობლებში მუხლები შემდეგნაირად ლაგდება: მაღალი და დაბალი ტესიტურის მქონე მუხლები მონაცვლეობს მოდულაციით (დაპირისპირების მეთოდით); ამგვარი დაპირისპირების ერთ-ერთი ნიმუშია ანგელოზი ღალადებს, რომლის ბოლო მუხლი წმ.4-ით მაღლა იწყება.

№40. ანგელოზი ღალადებს [ქსგ, შს, 2006: 27]:

**I<sup>j</sup>(C)**

III      I

dj შე - ნი ალ-დგა მე - სა - მე - სა დლე - სა სა - ფლა - ვით

dj შე - ნი ალ-დგა მე - სა - მე - სა დლე - სა სა - ფლა - ვით

**I<sup>b</sup>(F)**

I

და მკვდარ-ნი ა - ლა - ი - ა - ფგი - ნ - ნა ვ - რნო გი - ხა - რო-დენ

და მკვდარ-ნი ა - ლა - ი - ა - ფგი - ნ - ნა ვ - რნო გი - ხა - რო-დენ

VII

როდესაც საგალობელი ერთ-ერთი კილო-კომბინაციით არის მოცემული, აქ ქვედა ტესიტურის მქონე მუხლები ავტომატურად ქვედა კილოში, ხოლო ზედა ტესიტურის მქონე მუხლები ზედა კილოშია ნაგულისხმები.

მუხლები ტონალურად/კილოურად ორგვარია: არამოდულირებული (ერთ-ტონალური/ერთკილოური) და მოდულირებული (ორტონალური/ორკილოური). დამაბოლოებელი მუხლი საწყის და შუალედურ მუხლებთან შედარებით ყველაზე მყარი თვისებებით გამოიჩინა და ძირითადად მოცემულია I<sup>b</sup>(F) კილოში.<sup>29</sup>

ქვემოთ მოცემულია ორტონალური მუხლის მაგალითი.

<sup>28</sup> ხალხურ სიმღერაში მომზადების მოდულაციური ხერხი უფრო ფართოდ გამოიყენება.

<sup>29</sup> თუმცა არის გამონაკლისები, მაგალითად, ესაიას ბოლო მუხლი I<sup>j</sup>(C) კილოში მთავრდება.

№41. რაჟამს დიდებულნი მოწაფენი [ქსგ, შს, 2006: 149]:

ვინაიდან ქართული გალობის კილოს ათვლის ცენტრი (საყრდენი) ბგერ-ათრიგში ზემოდან პირველი ბგერაა, მოდულაციების შემთხვევებში თავიდანვე უნდა განისაზღვროს საყრდენი ტონი – I საფეხური – იმის მიხედვით, აღმავალია მოდულაცია თუ დაღმავალი. დავუშვათ, I<sup>b</sup>(F) 2-ბემოლიანიდან გადავედით I<sup>b</sup>(G) უნიშნოში. ამ დროს მოდულაციისას მყისიერად სმენით უნდა განისაზღვროს I<sup>b</sup>(G) კილოს საყრდენი, ანუ I საფეხური – g ბგერა. და პირიქით, თუ მოდულაცია ხდება ერთი საფეხურით ქვემოთ I<sup>b</sup>(F) 2-ბემოლიანიდან I<sup>b</sup>(Es) 4-ბემოლიან კილოში, სიმაღლის (ტონალური მოდულაციის) ცვლილებისთანავე სმენით უნდა განისაზღვროს I<sup>b</sup>(Es) 4-ბემოლიანი კილოს საყრდენი ტონი es.

უფრო დეტალურად განვიხილოთ მოდულაციის ტიპები სხვადასხვა კილოურ სივრცეში.

**4.2.1. I<sup>b</sup>(C)-I<sup>b</sup>(F) კილოური სივრცე.** როგორც სამგალობლო რეპერტუარიდან ჩანს, ოთხი სხვადასხვა კილო ხშირად წყვილების სახით გვხვდება, თუმცა ზოგიერთს დამოუკიდებლადაც შეუძლიათ არსებობა. მაგალითად, პირველი ორი კილოს – I<sup>b</sup>(F) და I<sup>b</sup>(C) – დამოუკიდებლობის ხარისხი მაღალია, ანუ ერთი საგალობელი შეიძლება ერთ ან მეორე კილოში იყოს თავიდან ბოლომდე წარმოდგენილი. თუმცა II<sup>b</sup>(B) და II<sup>b</sup>(F) კილოები ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად არ არსებობს ერთი საგალობლის ფარგლებში და, როგორც წესი, ერთის არსებობა მეორის გამოჩენას მოასწავებს. ეს განსაკუთრებით იმ საგალობლებს ახასიათებს, რომლებიც II<sup>b</sup>(F) კილოში იწყება, რაც ავტომატურად იმის ნიშანია, რომ აუცილებლად გამოჩნდება ზედა II<sup>b</sup>(B) კილო. ერთი საგალობლის ფარგლებში კილო-წყვილების მონაცვლეობა მოდულაციური სქემის ფარგლებში გვხვდება. აღნიშნული სქემა შემდეგნაირია:

ა) I<sup>b</sup>(F) და I<sup>b</sup>(C) კილო-კომბინაციის შემთხვევაში საგალობლის მოდულაციური სქემა ერთკილოურია და ხდება სიმაღლებრივი გადანაცვლება ზევით და ქვევით როგორც ახლო (1 საფეხურით ზევით ან ქვევით), ისე შორეულ (ორი საფეხურით ზევით) მანძილზე;

ბ) II<sup>b</sup>(B) და II<sup>b</sup>(F) კილო-კომბინაციის შემთხვევაში შესაძლებელია მათი პირველი კილო-წყვილით ჩანაცვლება, ანუ კილოური ცვალებადობა, როგორც, მაგალითად, I<sup>b</sup>(F) და I<sup>b</sup>(C)-დან II<sup>b</sup>(G)-II<sup>b</sup>(C)-ში გადასვლის დროს, ან როდესაც სიმაღლებრივი გადანაცვლების გარეშე იმავე საფეხურზე იცვლება ინტერვალური შემადგენლობა, როცა, მაგალითად, II<sup>b</sup>(F)-II<sup>b</sup>(B) გადადის I<sup>b</sup>(F)-I<sup>b</sup>(B). გარდა ამისა, ამ კილო-წყვილის სივრცეში მოდულაცი-

ური ქცევა არ იწვევს კილოურ ცვალებადობას, ანუ მეორე კილო-კომბინაცია მეორდება სხვა სიმაღლეზე. ასე, მაგალითად, II<sup>g</sup>(F)-II<sup>h</sup>(B) მოდელი შეიძლება განმეორდეს ერთი საფეხურით ქვევით: II<sup>g</sup>(Es)-II<sup>h</sup>(As).

ამგვარად, მოცემულ სივრცეში მოდულაციური სქემა რამდენიმე სახისაა:

1. როდესაც ურთიერთმონაცვლეობს I<sup>g</sup>(C) და I<sup>h</sup>(F) კილოების საყრდენი ბგერები (ცენტრები). ამგვარ ცვლილებას, რამდენადაც ის ერთი წყობის ფარგლებში ხდება, ახლო მონათესავე ტონალობაში მოდულაციას ვუწოდებთ;

2. როდესაც საყრდენი ბგერა (ცენტრი) ინაცვლებს ერთი საფეხურით ზევითთ ან ქვევით, ხოლო კილოს ინტერვალური შედგენილობა უცვლელი რჩება. ერთი საფეხურით ზევით ან ქვევით გადანაცვლების ასეთ ტიპსაც ახლო მონათესავე ტონალობაში მოდულაციად მივიჩნევთ;

3. როდესაც მოდულაცია ხდება ორი საფეხურით ზედა ან ქვედა ტონალობაში. შესაბამისად, ამგვარ ნახტომისებურ კილოურ და/ან ტონალურ ცვლილებას შორეულ მონათესავე ტონალობაში მოდულაციად განვიხილავთ.

I<sup>g</sup>(C)-I<sup>h</sup>(F) კილო-კომბინაციის საყრდენი ბგერების მონაცვლეობის ნიმუშები გვხვდება ისეთ საგალობლებში, როგორებიცაა: გელათის სკოლის დიდება მაღალთა შინა; გიხაროდენ შენ, წმიდაო; სასუფეველსა შენსა; გელათისა და შემოქმედის აღდგომისა დღე არს; სასწაულითა იხსნა ერი; ანგელოზი ღალადებს; ან განუტევე და სხვა მრავალი.

№42. დიდება მაღალთა შინა [ქსგ, 1, 2004: 184]:

ერთი საფეხურით ზევით მოდულაციის ნიმუშებია ცხრა გალობის ჩასართავები.

№43. ბზობის თ გალობის ჩასართავი [ქსგ, შს, 2006: 132]:

გვხვდება, აგრეთვე, ორი საფეხურით ზევით ახალ კილოში ანაცვლება მდორედ, საფეხურებრივად, რამდენიმე ტონალობის გავლით. მაგალითად, საგალობლის ცისკარსა მსთვად მუხლი „ესმა ხმა“, რომელიც I<sup>h</sup>(F) კილოშია, G კილოში მოცემული მუხლის გავლით გადადის მუხლში, რომელიც A კილოშია.

№44. ცისკარსა მსთვად [იქვე: 44]:

ერთი საფეხურით ქვევით მოდულაციის მაგალითებია: შენ ხარ ვენახი, პასექი ბრწყინვალედ შუენიერი, შობა შენი უხრწნელ არს.

№45. შენ ხარ ვენახი [იქვე: 253]:

ისევე როგორც ორი საფეხურით ზევით აღმავალი მოდულაციისას, ორი საფეხურით ქვევით მოდულაციაც ხდება რამდენიმე ტონალობის გავლით. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი მაგალითი ვერ მოვიპოვეთ აუდიოჩანაწერებში, ამ ტიპის მოდულაცია გვხვდება სანოტო ტრანსკრიფციებში. ამგვარ ნიმუშებს განეკუთვნება და ხმის ტროპარები: ქეთევან დედოფლისა – მოწყლულმან სურვილითა [ხეცხ Q-672: 406], იოსებ ალავერდელისა – იხარებს დღეს დღესასწაულსა შენსა [ხეცხ Q-672: 414] და ბზობის ტროპარი დაფლულნი შენ თანა [ხეცხ Q-674: 525].

მოცემულ ნიმუშებში საგალობლების საწყისი ბგერები ერთი და იგივეა, ხოლო დამაბოლობებელი ბგერები – განსხვავებული. კერძოდ: ქეთევან დედოფლის ტროპარი (ხეცხ Q-672: 406) იწყება a-დან და მთავრდება f-ზე.

იოსებ ალავერდელისა (ხეცხ Q-672: 414) იწყება ა-დან და მთავრდება e-ზე, ხოლო ბზობის ტროპარი (ხეცხ Q-674: 525) იწყება ა-დან და მთავრდება d-ზე.

როგორც ალვნიშნეთ, I<sup>ქ</sup>(C)- I<sup>ზ</sup>(F) წყვილის მონაცვლეობას შორეულ მონათესავე კილოში გადასვლაც მოსდევს. ასე, მაგალითად, როდესაც I<sup>ზ</sup>(F) კილო ერთი საფეხურით ქვევით ინაცვლებს და იქვე განმტკიცდება, ეს მიუთითებს I<sup>ზ</sup>(F) შერწყმულიდან I<sup>ზ</sup>(Es) შერწყმულ კილოში მოდულაციაზე, ხოლო თუ I<sup>ქ</sup>(C) კილოდან ერთი საფეხურით ქვევით I<sup>ქ</sup>(B) კილოში ჩამოსვლის შემდეგ ნახტომით, კვარტით ზევით ადის ახალ ტონალობაში, ეს იმის მანიშნებელია, რომ I<sup>ქ</sup>(B) კილოდან მოდულაცია მოხდა I<sup>ზ</sup>(Es) კილოში და შესაბამისად მივიღეთ მოდულაცია შორეულ მონათესავე ტონალობაში 2-ბემოლიანი I<sup>ქ</sup>(C) კილოდან 4-ბემოლიან I<sup>ზ</sup>(Es) კილოში ტერციით ზემოთ. სწორედ ამიტომ მივიჩნევთ ასეთი ნახტომით მიღებულ მოდულაციას შორეულ მონათესავედ. ამისი მაგალითებია: ესე არს წმიდა; განათლდი, განათლდი და სასწაულითა იხსნა.

№46. განათლდი, განათლდი [იქვე: 27]:

**4.2.2. II<sup>ქ</sup>(F)-II<sup>ზ</sup>(B) კილოური სივრცე.** მოცემული სივრცისთვის დამახასიათებელია მოდულაციის შემდეგი ფორმები:

1. f და b საყრდენი ბგერების (ცენტრების) მონაცვლეობა.

№47. საშო(ე)თ მთიებისა [იქვე: 7]:

2. კილოური მოდულაცია. აქ ცენტრი რჩება უცვლელად, ხოლო იცვლება კილო და, შესაბამისად, ნიშნებიც. ქვემოთ მოყვანილი მაგალითი მეტად საინტერესოა იმ თვალსაზრისითაც, რომ: а) II<sup>h</sup>(B)-დან კილოური მოდულაციით გადადის I<sup>h</sup>(B)-ში ბ) და ამის შემდეგ I<sup>h</sup>(B)-დან ჩამოდის I<sup>h</sup>(A)-ში.

№48. რაოდენთა ქრისტეს მიერ [იქვე: 91]:

II<sup>h</sup>(B)

ქრის - ტეს მი - ერ ნა - თე - ვ - ღვი - ღვი -

I<sup>h</sup>(B)

ვ - ი - ვ - ბი - ვ - ი - ი - ს და

I<sup>h</sup>(A)

ქრი - სტე შე - გვი - მო - სი - ი - ი - ეს ა

3. კილო-ტონალური მოდულაცია. ამ დროს იცვლება საყრდენი ბგერაც (ცენტრიც) და ინტერვალური შემადგენლობაც, მაგალითად, როდესაც II<sup>h</sup>(B)-დან გადავდივართ I<sup>j</sup>(G)-ში. ეს გადასვლა შესაძლოა, ორგვარად დასრულდეს: а) განმტკიცდეს I<sup>j</sup>(G)-ში ან ბ) გადავიდეს I<sup>j</sup>(G)-დან I<sup>h</sup>(C)-ში.

ა) I<sup>j</sup>(G)-ში განმტკიცება

№49. ესაია, მხიარულ იყავ [იქვე: 244]:

II<sup>h</sup>(B)

ღლი მი - სი, მა - ს ვა - დი - დე - ბ - დეთ და რო - მე - ღლ - მა - ნ

I<sup>j</sup>(G)

შვა ი გვი, ვნა მერი - დეთ.

ბ) I<sup>g</sup>(G)-დან I<sup>h</sup>(C)-ში გადასვლა

№50. საღმრთოსა სახმილავსა [იქვე: 17]:

II<sup>b</sup> B  
I  
sa - ღმრთო - sa  
sa - bən - ləz - sa  
zə - და

I<sup>g</sup> G  
I  
sa - ღმრთო მე - ტყვე - ლი ამ - ბა - კომ სფე - გინ ჩვენ - თა - ნა და გვი - ჩვე -

I<sup>h</sup> C  
I  
ნე - ნ ჩვე - ნ ა - ნ გე - ლო - ზი ნა - თლი - სა

**4.2.3. მოდულაციის ხერხები:** მომზადება (მელოდიური მოდულაცია) და დაპირისპირება. როგორც თავად სახელდებები გვკარნახობს, მომზადება ნიშნავს მოდულაციისთვის თადარიგის დაჭერას, ხოლო დაპირისპირებით ხდება ერთი კილოს მეორით ჩანაცვლება მომზადების გარეშე.

დაპირისპირების ხერხით მოდულაციის თვალსაჩინო ნიმუშია არტემის ღირს არსი, სადაც აქ I<sup>h</sup>(F) კილოს f და I<sup>g</sup>(G) კილოს g ცენტრები მონაცვლეობს.

№51. ღირს არს ჭეშმარიტად. I-II მუხლები [იქვე: 206]:

I<sup>h</sup>(F)  
I  
ღირს არ - ს ჭე - შმა - რი - ტად,

I<sup>h</sup>(G)  
I  
რა - თა გა - ი - ა - დი - დე - ბ - დე - თ შენ, ღვთის - მშო - ბე - ლო,

დაპირისპირების მაგალითებია, აგრეთვე: არტემის შენ გიგალობთ (I-II მუხლები), აღდგომისა დღე არს, კვერთხი იესეს ძირისაგან და სხვ.

რაც შეეხება მომზადების ხერხს, ის გულისხმობს მამოდულირებელი ბერით აღმავალ ან დაღმავალ საფეხურებრივ (მდორე) მოძრაობას ნებისმიერ ხმაში. თუმცა ძირითადად ამ ფუნქციას (მამოდულირებელ ბერაზე გადასვლას) ზედა, I ხმა ტვირთულობს. ასე, მაგალითად, აღდგომისა დღე არს (თერთმეტი მარგალიტიდან) მუხლში „განბრნყინდებოდეთ“, რომელიც I<sup>h</sup>(F)-შია გადმოცემული, I ხმა მუხლის შუა ნაწილში მომზადების ხერხით

ჩამოდის ერთი საფეხურით ქვევით და ამგვარად მოდულირდება I<sup>o</sup>(Es)-ში. ვფიქრობთ, მუხლის ამგვარი მომზადება სამოდულაციოდ კვლავ გამშვენების პრაქტიკას უნდა უკავშირდებოდეს. საგალობლის დედანი სადა კილოში, სავარაუდოდ, არ უნდა ყოფილიყო მოდულირებული. ამას ცხადყოფს არტემის ნაგალობევი, რომელშიც მუხლები „განბრნებინდებოდეთ“ და „პასქაუფლისა“ ერთმანეთს უკავშირდება დაპირისპირების მეთოდით.

№52. აღდგომისა დღე არს [ქვ, თმ, 2004: 2]:

№53. აღდგომისა დღე არს [ქსგ, შს, 2006: 5]:

**4.3. გადახრა.** აუდიოჩანაწერებში აქა-იქ გხვდება კილოური იერ-სახის ისეთი ცვლილება, რომელიც არ იკიდებს ფეხს და მყისვე საწყის კილოს უბრუნდება. კლასიკური ჰარმონიის კანონების გათვალისწინებით, ამგვარ დროებით კილოურ გადახვევას მოდულაციად არ მივიჩნევთ და მას კილო-ტონალურ გადახრად განვიხილავთ.

დროებითი ხასიათის გარდა, კილოს ელფერის ამგვარ ცვლილებას იმის გამოც ვუწოდებთვადახრას, რომ ამ დროს საყრდენები არ იცვლება, რადგან ცენტრების ცვლილება კილოსა და დამაბოლოებელი საფეხურის ცვლილებას გამოიწვევდა, როგორც ეს ჩანს სამუელ ჩავლეიშვილის მიერ გადმოცემულ, კვირიაკის ე გალობის ძლისპირში შენ, რომელმან განანათლენ.

№54. შენ, რომელმან განანათლენ [ერქომაიშვილი, როდონაია, 2006: CD I-19]:

I<sup>b</sup> C                          II

I<sup>b</sup> Es                          V

I<sup>b</sup> Des                          I

I<sup>b</sup> Es                          I

VIII

იმავე ჰანგზეა გაწყობილი არტემ ერქომაიშვილის მიერ გადმოცემული ჰარმონიულობა.

№55. ჰარმონიულობა [ქსგ, შს, 2006: 143]:

The musical score consists of three staves (Ij(C), Ij(F), and Bass) in common time, key signature of one flat. The vocal parts are written in soprano (Ij(C)) and alto (Ij(F)) clefs. The lyrics are written below the notes. The score shows a sequence of chords and melodic lines, with some notes connected by slurs and others by vertical stems. The vocal parts often overlap, creating a rich harmonic texture.

Ij(C) lyrics: ჰე - ი - ვა - ლ - ნე - ლო,

Ij(F) lyrics: მი - უ - ნდო - მე - ლი ბუ - ნე - ბა -

Bass lyrics: თა, უ - ფა - მო

როგორც ამ ნიმუშებიდან ჩანს, ერთი და იგივე მუხლი ერთ შემთხვევაში (მაგ. №54) საყრდენის (ცენტრის) ცვლილებისას ინარჩუნებს კილოურ მიხრილობას, როდესაც დროებით იცვლება ტონალობა; ხოლო მეორე შემთხვევაში (მაგ. №55) იგივე ჰანგი გადახრის გარეშეა.

საიდუმლო უცხოს ქვემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, რომ მუხლი „უცხო და დიდებული“ გადახრით ითქმის როგორც პატარავა-სიმონიშვილი-ერქომაიშვილის ტრიოს (თერთმეტი მარგალიტი), ასევე არტემის ჩანაწერშიც.

№56. საიდუმლო უცხო [ქვ, თმ, 2004: 1]:

The musical score consists of three staves of music for piano. The top staff is labeled Ib(F), the middle staff Ib(Es), and the bottom staff Ib(F). The lyrics are written below the notes:

უცხო და დი - დე - ბუ - ლი ვი - ნი - ლეთ;

უცხო და დი - დე - ბუ - ლი ვი - ნი - ლეთ;

უცხო და დი - დე - ბუ - ლი ვი - ნი - ლეთ;

№57. საიდუმლო უცხო [ქსგ, შს, 2006: 69]:

The musical score consists of three staves of music for piano. The top staff is labeled Ib(F), the middle staff Ib(Es), and the bottom staff Ib(F). The lyrics are written below the notes:

უცხო და დი - დე - ბუ - ლი ვი - ნი - ლეთ;

უცხო და დი - დე - ბუ - ლი ვი - ნი - ლეთ;

უცხო და დი - დე - ბუ - ლი ვი - ნი - ლეთ;

ვფიქრობთ, გადახრები უნდა იყოს გამშვენების ერთ-ერთი მეთოდი, რა-დგან გადახრებისა და მოდულაციების ინტენსივობა საგალობლის გამშვენებასთან ერთად იმატებს.

## 5. კადანსები

რამდენადაც ქართული გალობის შესახებ თეორიულ ტრაქტატებს ან სახელმძღვანელოებს ჩვენამდე არ მოუღწევია და გალობის პრაქტიკული ცოდნა თაობიდან თაობას ზეპირად გადაეცემოდა, სხვა მუსიკოლოგიური ასპექტების დარად, საგალობლის კადანსური იერსახისა თუ სხვა თავისებურებების გამოვლენა ჩვენამდე მოღწეული ხმოვანი მასალისა და სანოტო ტრანსკრიფციების ანალიზის შედეგად მოხდა. კერძოდ, შესაძლებელი გახდა კადანსური საქცევების ფორმების დადგენა და მათი კლასიფიკაცია.

კადანის მუხლის დამაბოლოებელი საქცევია, რომელიც მოცემულ კი-ლოში ასრულებს ან დროებით აჩერებს ჰანვითარებას და, ამგვარად, ხელს უწყობს მუსიკალური სახის ფორმირებას. ამასთან, კადანსურ საქცევებს ორ მსხვილ სახეობად – სადა და გამშვენებულ კადანსებად ვყოფთ.

კადანისის სადა ფორმა ერთგვაროვანია და მყარ მოდელს წარმოადგენს, ხოლო გამშვენებული კადანსები რამდენიმე სახისაა. რამდენადაც ქართული გალობა რიგი თავისებურებებით ხასიათდება და, მათ შორის, კადანსური

სტრუქტურაც რამდენადმე განსხვავდება კლასიკური ევროპული კადანსური ფორმებისაგან, ქართული გალობის საკადანსო მახასიათებლების კლასიფიკაციისას შევარჩიეთ ტერმინები, რომლებიც გამოიყენება ქართული გალობის ამა თუ იმ სკოლისა თუ კომპოზიციური თავისებურებების განსასხვავებლად. კერძოდ, კადანსის იმ ფორმას, რომელიც ძირითადად სადა კილოს საგალობლებში გამოიყენება, უწნოდებთ სადა კადანსს; ხოლო კადანსურ ფორმებს, რომლებიც საგალობლის გავარჯიშება-გამშვენების ერთ-ერთ საშუალებადაც შეიძლება ჩაითვალოს – გამშვენებულ კადანსს. კადანსის სადა და გამშვენებული ფორმების მახასიათებლებად გამოვყავით რამდენიმე კრიტერიუმი.

**5.1. სადა კადანსი:** ა) მეტრულად უცვლელია; ბ) ფინალისი მიიღება სამივე ხმის ერთდროული მოძრაობის შედეგად და მყარდება.

№58. რაჟამს დიდებულნი მოწაფენი [იქვე: 154]:

**5.2. გამშვენებული კადანსი შეიძლება იყოს:** ა) განვრცობილი, ბ) შეჭრილი, გ) შეყოვნებული, დ) ჩანართი.

გამშვენებული კადანსის ოთხივე ფორმას საკუთარი წესები აქვს და ამ წესების მიხედვით მოქმედებს. კერძოდ:

ა) კადანსის განვრცობისას არ ხდება დამაბოლოებელ ბერაზე/აკორდზე მუხლის დასრულება (პაუზის, ცეზურის მეშვეობით) და იგი შეუჩერებლად გადაიზრდება დამატებით ნაგებობაში, რომლის ბოლოსაც ხდება კილოს ცენტრის გამყარება.

№59. რაჟამს დიდებულნი მოწაფენი [იქვე: 152]:

Ib(F)

ბ) შეჭრილი კადანსის დროს მუხლები ერთმანეთს ებმის ცეზურის (პაუზის) გარეშე და არ ხდება მუხლის დამაბოლოებელი (კილოს ცენტრალური) ბგერის გამყარება.

№60. რაჟამს დიდებულნი მოწაფენი [იქვე: 150]:

Ib(F)

გ) შეყოვნებული კადანსის დროს დამაბოლოებელ (კილოს ცენტრალურ) ბგერაზე გადასვლა ხდება დაყოვნებულად – გამვლელი ბგერის, შემომღერებისა და/ან შეკავების ხერხით.

შეყოვნებული კადანსის მიღება გამვლელი ბგერის მეშვეობით

№61. რომელი ქერუბიმთა [ქვ, 3, 2005: 254]:

შეყოვნებული კადანსის მიღება შემომლერების გზით

№62. რომელნი ქერუბიმთა [ქსგ, 5, 2008: 64]:

შეყოვნებული კადანსის მიღება შეკავების ხერხით

№63. რომელნი ქერუბიმთა [იქვე: 57]:

დ) ჩანართი – როდესაც ჰანგი ვითარდება მცირე ფორმის კადენცი-  
ისმაგვარი ნაგებობის ფარგლებში.

№64. ცისკარსა მსთვად მოვიდა [ქსგ, 4, 2006: 158]:

დაწვრილებით განვიხილოთ გამშვენებული კადანსის ყველა სახეობა.

**5.2.1. განვრცობილი კადანსები.** განვრცობილ მუხლებს ვუწოდებთ ისეთ მუხლობრივ ერთეულებს, რომელთაც ზედნაშენი ნაგებობა ემატება. ეს ნაგებობა შესაძლოა, განვრცოს ორი ან ოთხი თვლით. ზოგჯერ ამგვარ ზედნაშენ სტრუქტურას გარკვეული მელოდიური საქცევის იერი აქვს. შესაბამისად, განვასხვავებთ მცირედ, საშუალოდ და მეტად განვრცობილ საკადანსო საქცევებს. სადა ვარიანტში ძირითადად მცირედ განვრცობილი კადანსები გვხვდება. ამ კადანსის ზედნაშენი არ უნდა სცდებოდეს 6 თვლას. საშუალოდ განვრცობილი კადანსის დამატებითი ნაგებობა კი არ უნდა აღემატებოდეს 8 თვლას. რაც შეეხება მეტად განვრცობილ კადანსა, დამატებითი ნაგებობა შეიძლება განვრცოს მაქსიმუმ 10 თვლით.

იმისათვის, რომ უკეთ დავინახოთ, როგორ ხდება მუხლის განვრცობა, მოგვყავს ორივე – დასავლური და აღმოსავლური – სკოლის ერთი და იმავე მუხლის კადანსის როგორც სადა, ასევე გამშვენებული/განვრცობილი ვარიანტები, რომლებშიც ზომა გაორმაგებულია. მეტი თვალსაჩინოებისათვის კი გამშვენებული ვარიანტების I ხმაში მოვნიშნავთ იმ საფეხურებს, რომლითაც ჰანგი სადა კილოშია გადმოცემული.

მოგზაური მუხლის ქართლ-კახურ ვარიანტებში კარგად ჩანს სადა კადანსის განვრცობის ყველა ეტაპი სხვადასხვა საგალობელში.

ქვემოთ მოცემულია სადა კადანი – ზედნაშენის გარეშე (განვრცობა ხდება მუხლის დამაბოლოებელი, მონიშნული საფეხურიდან).

№65. რომელნი ქერუბიმთა [ქსგ, 3, 2005: 304]:

The musical example consists of three staves of music. The top two staves are in treble clef, and the bottom staff is in bass clef. The key signature is one flat (G major). The time signature is 2/4. The music features various note heads, including solid dots and open circles, with horizontal lines extending from them to indicate pitch. Grace notes are shown as small dots with short stems. Slurs are used to group notes together. The first two staves begin with a 'delta not' (a note with a vertical stroke through it) followed by a series of eighth and sixteenth notes. The third staff begins with a 'delta not' and follows a similar pattern. The music is presented on five-line staves with a common vertical bar line separating the measures.

მცირედ განვრცობილი კადანსი  
№66. რომელნი ქერუბიმთა. [იქვე: 303]:

საშუალოდ განვრცობილი კადანსი  
№67. შენ გიგალობთ [იქვე: 316]:

რაც შეეხება დასავლურ რეპერტუარს, ქვემოთ მოყვანილი ნიმუშები გელათის სკოლის ქერუბიმთას მუხლის განვრცობის ეტაპებს ასახავს.

როგორც ვხედავთ, სადა კილოს მუხლის ქვემოთ მოცემული ვარიანტის დამატებითი ნაგებობა არ აღემატება 6 თვლას და მცირედ განვრცობის ნიმუშია:<sup>30</sup>

№68. რომელნი ქერუბიმთა [ქსგ, 1, 2004: 247]:

<sup>30</sup> აღნიშნული მუხლი ე. წ. მოგზაური მუხლების ტიპს განეკუთვნება და სხვა საგალობლებშიც გხვდება. მაგალითად, კარბელაშვილების სკოლის ქერუბიმთაში იგი სრულდება ძ-ზე სადა კადანსის წესით.

აღნიშნული მუხლის საშუალოდ განვრცობილი ვარიანტია შემდეგი მაგალითი, რომელშიც ზედნაშენი ნაგებობის თვლა არ აღემატება რვას.

საშუალოდ განვრცობილი კადანსი

№69. რომელი ქერუბიმთა [იქვე: 248]:

ქვემოთ მოყვანილი ნიმუში მოცემული მუხლის გამშვენებული ვარიანტია. მასში მოცემულია ზედნაშენი ნაგებობის უფრო მეტად განვრცობილი ფორმა, კერძოდ, თვლა გაიზარდა ათამდე.

მეტად განვრცობილი კადანსი

№70. რომელი ქერუბიმთა [იქვე: 250]:

განვრცობა, როგორც ხერხი, მუხლის გამშვენებისას კიდევ ერთი ფორმით გამოიყენება; კერძოდ, ხდება მარტივად, საშუალოდ ან მეტად განვრცობილი მუხლების კადანსური ზედნაშენის რიტმული გაორმაგება. ამ ტიპის განვრცობით მიღებული ნაგებობა არ არის დამოუკიდებელი კომპოზიციური სტრუქტურა, რადგან ის იმეორებს არსებულ (მარტივ, საშუალოდ ან მეტად განვრცობილ) ზედნაშენს გაორმაგებულ დროში. ამგვარ განვრცობას შეგვიძლია პირობითად ვუწოდოთ **გაორმაგებული განვრცობა**. თუმცა ამგვარად განვრცობილი საკადანსო საქცევი შეიძლება დაბოლოვდეს როგორც სადა კადანსისთვის დამახასიათებელი ჩაკეტვით, აგრეთვე შეკავების ხერხით. დავასახელებთ გელათის სკოლის გამშვენებულ მაგალითებს:

ა) მარტივად განვრცობილი კადანსის გაორმაგება, რომელიც ბოლოში

სრულდება შეყოვნებით, კერძოდ, ბანში შეკავებით.<sup>31</sup>

მაგ. №71. რომელნი ქერუბიმთა [ქსგ, 5, 2008: 57]:

სადა კილო

ბ) საშუალოდ განვრცობილი კადანსი გაორმაგებული მეტრით ბანსა და  
II ხმაში შეყოვნებით (შემომღერებით):

№72. რომელნი ქერუბიმთა [იქვე: 64]:

სადა კილო

---

<sup>31</sup> შეკავება, შემომღერება და გამვლელი მოძრაობა კადანსურ საქცევებში შეყოვნებული კადანსის წარმოების ხერხებს განეკუთვნება. მათ დაწვრილებით ქვემოთ განვიხილავთ.

გ) მეტად განვრცობილი კადანსური საქცევი გაორმაგებული მეტრით და შეყოვნებული (შემომღერება) დაბოლოებით:

№73. რომელნი ქერუბიმთა [იქვე: 58]:

განხილულ მაგალითებში გამოჩნდა დასავლურ სამგალობლო რეპერტუარში არსებული განვრცობის ხერხები და ფორმები.

**5.2.2. შეჭრილი კადანსი.** როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შეჭრილი (აჩქარებული) კადანსის დროს მუხლები ერთმანეთს ებმის ცეზურის (პაუზის) გარეშე. ამ ტიპის კადანსური საქცევის გამოყენების ორი ხერხი გვხვდება:

ა) როდესაც მუხლის ნებისმიერი ხმის დამოუკიდებელი ინიციატივით ხდება ორი მუხლის გადაბმა; ამ დროს ერთი ბგერა ასრულებს კადანსურ საქცევში მუხლთან დამაკავშირებელი ხიდის ფუნქციას.

ამგვარი შეჭრილი კადანსის ნიმუში გვხვდება დასავლეთ საქართველოს სამგალობლო სკოლის საგალობლებში.

№74. ღმერთი ხარ მშვიდობისა [ქსგ, 8, 2017: 158]:

№75. უხრწნელსა ხატსა შენსა [ქსგ, 2, 2002: 196]:

I<sup>h</sup>(F)

თა - ჩვენ - თა - სა, ქრი - სტე ღმერ - თო  
თა - ჩვენ - თა - სა, ქრი - სტე ღმერ - თო

შემდეგი მაგალითი აღმოსავლეთ საქართველოს სამგალობლო სკოლის ნიმუშია.

№76. ოირს არს ჭეშმარიტად [ქსგ, 3, 2005: 278]:

I<sup>h</sup>(F)                                   I<sup>h</sup>(G)

ღირს არ - ს ჭე - შ - მა - რი - ტაფ, რა - თა  
ღირს არ - ს ჭე - შ - მა - რი - ტაფ, რა - თა

ბ) როდესაც რამდენიმე ხმის ერთდროული მოქმედებით ხდება მუხლების დაკავშირება. ამ შემთხვევაში მომდევნო მუხლზე გადასვლა ხდება რამდენიმე ბერების ერთდროული საკადანსო მოძრაობით. ამ ტიპის საკადანსო მოძრაობის ნიმუშებს შორისაა დასავლეთ საქართველოს სამგალობლო სკოლის საგალობლები: შენ, რომელმან; ხმა-ვყავ შენდამი.

№77. შენ, რომელმან განანათლენ [ქგ, ომ, 2004: 6]:

I<sup>h</sup>(F)

გულ - ნი - ცა მგა - ლო -  
გულ - ნი - ცა მგა - ლო -

(სადა ვარიანტში მოცემული მუხლი დამთავრდებოდა „ცა“ მარცვალზე d-g. შდრ. ქსგ, 8, 2017:8).

№78. ხმა-ვყავ შენდამი [ქსგ, 8, 2017: 208]:

(სადა კილოს მუხლი დამთავრდებოდა მონიშნულ, „თა“ მარცვალზე d-g. მუხლის ბოლოს | ხმის ტერციით ქვევით ანალოგიური მოძრაობა (მარცვლები „თა-თა“) შემოქმედის სკოლის ნიმუშებშიც გვხვდება. შდრ. ქსგ, 2006: 108, მარცვლები „სა-სა“).

აღმოსავლეთ საქართველოს სამგალობლო სკოლის რეპერტუარიდან – მოვედით, თაყვანის-ვსცეთ და ანგელოზი ღალადებს.

№79. მოვედით, თაყვანის-ვსცეთ [ქსგ, 3, 2005: 298]:

№80. ანგელოზი ღალადებს [ქსგ, 7, 2014: 289]:

**5.2.3. შეყოვნებული კადანსი.** ქართული გალობის ერთ-ერთ თვისებაა მუსიკალური მასალის გაშლა-განვითარების პროცესში ე. წ. შეყოვნება, რომელიც ფართოდ არის გავრცელებული როგორც აღმოსავლეთ, ისე

დასავლეთ საქართველოს სამგალობლო ტრადიციებში. შეყოვნება, როგორც აღვნიშნეთ, შეიძლება მოხდეს რამდენიმე ხერხით როგორც მუხლის ბოლოს, ასევე მუხლშიდა კადანსირების დროსაც. შეყოვნების ინსტრუმენტებია: а) შეკავება, ბ) გამვლელი მოძრაობა, გ) შემომღერება. განვიხილოთ თითოეული მათგანი.

**5.2.3.1. შეკავება.** შეკავების დროს ხდება დამაბოლოებელი ბგერის შეყოვნება ბანსა ან შუა ხმაში ცალ-ცალკე ან ერთდროულად. შეკავება ძირითადად ჩნდება მუხლის დაბოლოებისას, თუმცა შეიძლება შეგხვდეს მუხლშიდა კადანსირების დროსაც. ამგვარი შეკავების ნიმუშია გელათის სკოლის მოვედით, თაყვანის-ვსცეთ.

შეკავებულია ბანის ხმა მუხლის შუა ნაწილში

№81. მოვედით, თაყვანის-ვსცეთ [ქსგ, 5, 2008: 29]:

შეკავებულია ბანის ხმა მუხლის ბოლოს

№82. მოვედით, თაყვანის-ვსცეთ [იქვე: 29]:

როგორც ზემოთ მოყვანილი ნიმუშებიდან ჩანს, გელათის სკოლის საგალობლებში ბანის შეკავებისას ძირითადად შუა ხმა უნისონურად ერწყმის ბანს.

რაც შეეხება ქართლ-კახურ ტრადიციას, შეკავების დროს უმეტესად იწარმოება კვინტური ვერტიკალი ზედა ხმების უნისონური შერწყმის შე-

დეგად, როდესაც ბანი აუღერებს კვინტურ ფუძეს. შესაბამისად, გელათის სკოლის საგალობლებში შეკავების ფუნქციას ძირითადად ბანი ტვირთულ-ობს, ხოლო ქართლ-კახურში ამ მხრივ, ბანთან ერთად ॥ (შუა) ხმაც აქტიურია. გვხვდება, აგრეთვე, ॥ ხმისა და ბანის ერთდროული შეკავებებიც. ქართლ-კახური სკოლის ამგვარი შეკავებების ნიმუშად მოგვყავს რომელნი ქერუბიმთა (მრევლიშვილის ხელნაწერები):

შეკავებულია ბანი

№83. რომელი ქერაბინთა [მრევლიშვილი, 1852: 13]:

შეკავებულია შუა ხმა

№84. რომელი ქერაბინთა [იქვე: 14]:

შეკავებულია ბანი და შუა ხმა

№85. რომელი ქერაბინთა [იქვე: 14]:

Musical score for No. 85. The score consists of two staves. The top staff is in soprano clef, and the bottom staff is in bass clef. Both staves are in common time (indicated by '8'). The lyrics 'რა - ი - ავთ' are written below the notes. The music features eighth-note patterns and some sixteenth-note figures.

**5.2.3.2. გამვლელი მოძრაობა.** ამ დროს ერთი ან ორი ხმა გამვლელი საფე-  
სურის მეშვეობით მოძრაობს დამაბოლოებელი ბგერისაკენ/ინტერვალისკენ.  
ისევე, როგორც შეკავება, გამვლელი მოძრაობა შეიძლება შეგვხვდეს როგორც  
მუხლის ბოლოს, ასევე მუხლშიდა კადანსირებისას. ამ უკანასკნელის დროს შეს-  
აძლებელია ორი ხმის მოძრაობა დასრულდეს შედარებით მერყევ ინტერვალზე.

შეყოვნების ამ ფორმის ნიმუშებია: გელათის სკოლის რომელნი ქერუბიმთა,  
რომელშიც გამვლელ მოძრაობას ასრულებს შუა (II) ხმა;

მაგ. №86. რომელნი ქერუბიმთა [ქსგ, 5, 2008: 63]:

Musical score for No. 86. The score consists of three staves. The top staff is in soprano clef, the middle staff in alto clef, and the bottom staff in bass clef. All staves are in common time (indicated by '8'). The lyrics 'რუ - ბიმ' are written below the notes. The music features eighth-note patterns and some sixteenth-note figures.

ქართლ-კახური სამგალობლო ტრადიციის დიდება მაღალიანი, რომელ-  
შიც შუა (II) ხმა და ბანი საწინააღმდეგო მიმართულებით გამვლელი ბგერის  
გავლით გადადიან დამაბოლოებელ კვინტაში.

№87. დიდება მაღალთა შინა [ქსგ, 3, 2005: 203]:

The musical score consists of three staves. The top two staves are in treble clef, and the bottom staff is in bass clef. The key signature is one flat. The lyrics are written in Georgian and are repeated twice. The first line of lyrics is: ცო-დვა-თა სო-ფლო-სა - თა - მ, მი - წყა - ლენ ჩვენ. The second line is identical.

**5.2.3. შემომლერება.** ამ ტიპის კადანსირებისას II ხმა ან ბანი დამაბოლოებელ ბერაზე გადადის უახლოესი საფეხურების შემომლერების გზით. ამგვარი შეყოვნება ძირითადად გვხვდება მუხლის დაბოლოებისას და ნაკლებად დამახასიათებელია მუხლშიდა კადანსირებისთვის. ნიმუშად მოვიყვანთ გელათის სკოლის ნმიდა არს, ნმიდა არსს, რომელშიც შემომლერება ხდება ბანში.

№88. ნმიდა არს, ნმიდა არს [ქსგ, 5, 2008: 82]:

The musical score consists of three staves. The top two staves are in treble clef, and the bottom staff is in bass clef. The key signature is one flat. The music features eighth-note patterns and rests, with a bracket indicating a melodic line across the staves.

როგორც მაგალითიდან ჩანს, მუხლი შეიძლება დასრულდეს ნონის ჩარჩოთი, რომელიც ორი კვინტის შერწყმის შედეგად იწარმოება. ამგვარი კადანსირება შეიძლება შეგხვდეს შუალედური მუხლების ბოლოს.

**5.2.4. ჩანართი.** ჩანართის დროს ჰანგი ვითარდება მცირე ფორმის კადენციისმაგვარ ნაგებობაში. ძირითადად მუხლშიდა კადანსირებისას შუა ხმა ინყებს მოძრაობას და ამღერებს მოტივს, რომელიც სრულდება ერთი საფეხურით ზევით, რა დროსაც ბანი უერთდება ოქტავით ქვევით. ამ დროს მეტწილად ზედა (II) ხმა ისვენებს და არ ინტონირებს დამაბოლოებელ ბერას, თუმცა ზოგჯერ პირიქით, ასწრებს შუა ხმას და ბანს და წინასწარ ამღერებს დამაბოლოებელ ბერას და დანარჩენ ორ ხმასთან სეკუნდურ

շղերագոծաս ქმნის. ამგვარი მოძრაობა მეტწილად გვხვდება მუხლს შიგნით და განსაკუთრებით ფართოდ არის გავრცელებული დასავლეთ საქართველოს სამგალობლო ტრადიციაში.

საილუსტრაციოდ მოგვყავს მოვედით თაყვანის-ვსცეთ, ორი ვარიანტი, რომელთაგან ერთი ნამდვილ, ხოლო მეორე გამშვენებულ კილოშია წარმოდგენილი. გამშვენებულში მკაფიოდ ჩანს კადენციური ჩანართი მარცვალზე „ძე“.

№89. მოვედით, თაყვანის-ვსცეთ, ნამდვილი კილო [ქსგ, 1, 2004: 227]:

The musical score consists of four staves. The top two staves are for voices (soprano and alto) in G clef, and the bottom two are for basso continuo in F clef. The music is in common time, with a key signature of one flat. The lyrics are written below the notes in Georgian script. The first section of lyrics is:

გვა - ცხოვ - ნენ ჩვენ, ძე - ო ღმრთი -  
გვა - ცხოვ - ნენ ჩვენ, ძე - ო ღმრთი -

The second section of lyrics is:

სა - მ მ, სა - მ მ, სა - მ მ,

The basso continuo part consists of sustained notes and some rhythmic patterns.

№90. მოვედით, თაყვანის-ვსცეთ. გამშვენებული კილო [ქსგ, 5, 2008: 29]:

უნდა ითქვას, რომ გარდა მოცემული კადენციისა, მთქმელის პარტია ორივე ნიმუშში იდენტურია, რაც გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ აღნიშნული ვარიანტები ერთი და იმავე წყაროს მიერ არის გადმოცემული. შესაბამისად, მუხლშიდა კადენციური ჩანართი ნამდვილ კილოში გადმოცემული ჰანგის გამშვენების ხერხად უნდა ჩაითვალოს.

აღსანიშნავია, რომ ამ ტიპის მუსიკალური საქცევი მუხლის შიდა ნაგებობისთვისაა დამახასიათებელი. ასეთ დროს უმთავრესად II ხმა ძირითადი ბერიდან (რომელზეც შეკავება ხდება), ერთი საფეხურით ზევით ანაცვლებს ნაგებობას, რადგან უმეტეს შემთხვევაში სწორედ ძირითადი ბერიდან ერთი საფეხურით ზევით იწყება საგალობლის მომდევნო ნაგებობა.

გვხვდება, აგრეთვე, შემთხვევები, როდესაც I ხმაც ინაცვლებს ძირითადი ბერიდან (რომელზეც ხდება შეკავება), ერთი საფეხურით ზევით.

№91. ბოვედით, თაყვანის-ვსცეთ [იქვე: 31]:

Musical score for Example 91, featuring three staves of music with lyrics in Georgian. The lyrics are: შე - ნ - ნი, ა - ა - ა.

გარდა ამისა, ზოგჯერ ॥ ხმა გადაიზრდება მელოდიურ საქცევში, რომლის მეშვეობითაც ძირითადი ბერიდან ინაცვლებს ორი საფეხურით ქვევით. ამგვარი შემთხვევები გვხვდება მუხლის დაპოლოების დროსაც.

№92. რომელნი ქერუბიმთა [იქვე: 59-60]:

Musical score for Example 92, featuring three staves of music with lyrics in Georgian. The lyrics are: სამ - ნენ - სამ - ნენ -.

გვხვდება, აგრეთვე, ვარიანტები, როდესაც ॥ ხმა რჩება ძირითად ბერაზე. ამგვარი შემთხვევები ხშირია როგორც მუხლშიდა ნაგებობაში, აგრეთვე მისი დაბოლოების დროსაც.

ა) მუხლშიდა საქცევი:

№93. რომელნი ქერუბიმთა [ქსგ, 1, 2004: 249]:

Musical score for Example 93, featuring three staves of music with lyrics in Georgian. The lyrics are: ლმ, ლმ.

ბ) ზემოთ მოყვანილი საქცევი ღირს არსის გამშვენებული ვარიანტში

მუხლის ბოლოს გვხვდება. ამ დროს ბანი მოძრაობს ერთი საფეხურით ზევით და I-თან ქმნის კვარტის ინტერვალს. თუმცა ეს მოვლენა შეიძლება აღქმულ იქნას, როგორც შეჭრილი (აჩქარებული) კადანსი.

№94. დირს არს ჭეშმარიტად [ქსგ, 5, 2008: 86]:

საინტერესოა, რომ ჩანართი შეიძლება საერო/სუფრის საგალობლების წართქმითი მუხლის ბოლოსაც შეეხვდეს, როგორც, მაგალითად, გიგო ერქომაიშვილის დიდება ღმერთსას შემთხვევაში, რომლის მუხლი „ჩვენსა სიბნელითგან განმანათლებელსა“ იდენტურია სულო ჩემოს მუხლისა „აღ-დეგ, რასა გძინავს“, თუმცა ამ უკანასკნელისგან განსხვავებით, დიდების მუხლი სწორედ ჩანართით ბოლოვდება:

№95. დიდება ღმერთსა [ერქომაიშვილი, 1907: 5]:

№96. სულო ჩემო [ქსგ, 4, 2006: 53]:

წართქმითი მუხლის კადენციური ნაგებობით დასრულების შემთხვევა

გხვდება, აგრეთვე, აღმოსავლეთ საქართველოს სამგალობლო ტრადიცია-შიც. მაგალითად, ქართლ-კახური მამაო ჩვენოს პირველი წართქმითი მუხ-ლის ბოლოს შეუძლია მამაო პროვოცირებს ჩანართის ტიპის მოძრაობას, რომელსაც დამაბოლოებელი ბერის წინ უერთდება ბანი და ზედა ხმა. თუმცა ამ შე-მოხვევაში მოცემულ საქცევს არ აჰყავს ნაგებობა ერთი საფეხურით ზევით.

№97. მამაო ჩვენო [მულალაშვილი, 1967: 12]:

Musical score for piano and voice. The vocal line continues with lyrics "Ma - m Rigo - nni," followed by a fermata over the piano part. The piano accompaniment consists of eighth-note chords.

ამგვარად, ზემოთ განვიხილეთ კადანსური საქცევების ყველა ნაირსახეობა. ასევე საინტერესოა მუხლის აგების კანონიკაც, რაც, ერთი მხრივ, მუხლის ფუნქციურ (ფორმის შემქმნელ) როლს (საწყისი, შუალედური და დამაბოლობელი მუხლები) უკავშირდება და, მეორე მხრივ, იმაზეა დამოკიდებული, თუ რომელ კილო-წყობაშია ესა თუ ის მუხლი გადმოცემული. ამ საკითხებს განვიხილავთ სახელმძღვანელოს მომდევნო, პრატიკული ნაწილში.

**მეორე ნაწილი**  
**ზეპირი სწავლების ტრადიცია**  
**1. ძირითადი ჰანგი და მისი კომპოზიციური სტრუქტურა.**

ძველად საგალობლების ზეპირი სწავლება გარკვეული მეთოდით ხდებოდა. თავდაპირველად ასწავლიდნენ ძირითადი ჰანგის სადა ვარიანტს, რომელიც გადმოიცემოდა ზედა, პირველი ხმის მიერ. ამის შემდეგ კი მგალობელი ეუ-ფლებოდა პირველთან მეორე ხმისა და ბანის შეწყობის პრინციპებს. ბოლო ეტაპს ხმათა გავარჯიშება-გამშვენება წარმოადგენდა [ქორიძე, 1896: 10-11].

საგალობლების ანალიზის შედეგად ვლინდება ის ურთიერთმიმართება და მოძრაობის წესები, რაც სამხმიანი მუსიკალური ქსოვილის ცალკეული ხმის მოძრაობის/განვითარების საფუძველს წარმოადგენს. ვრცელი სამგალობლო რეპერტუარის ამ კუთხით ანალიზის მეშვეობით ირკვევა ხმათა შეწყობის წაირგვარი ხერხი, კერძოდ, პირველ ხმასთან შეუა ხმისა და, განსაკუთრებით, ბანის შეწყობის ვარიანტები.<sup>1</sup>

ვიდრე უშუალოდ სავარჯიშოებზე გადავიდოდეთ, წარმოგიდგენთ ოთხივე კილოში საფეხურებზე დაბოლოების შემთხვევებს.

## I<sup>o</sup>(F) კილო<sup>2</sup>

**1. I საფეხურზე გვხვდება ორგვარი დაბოლოება – ა) უნისონური და ბ) კვინტური.**

---

<sup>1</sup> ამ კუთხით, ქართული გალობა ევროპულ შუა საუკუნეების მუსიკასთან გარკვეულ სიახლოვეს ამჟღავნებს. ორივე შემთხვევაში ხმათა შეწყობის პროცესში ორი წყვილი მონაწილეობს. კერძოდ, სამხმიანი პოლიფონიური ქსოვილი cantus firmus-თან, ანუ ძირითად ჰანგთან, მელოდიურ ბაზისთან დაანარჩენი ირი ხმის გარკვეული წესებით შეწყობის შედეგია. განსხვავება კი ის არის, რომ ქართულ სამგალობლო ტრადიციაში ხმათა კოორდინირება ერთმნიშვნელოვნად ზედა ხმიდან მოდის.

<sup>2</sup> მოყვანილი საგალობლები და სავარჯიშოები წარმოდგენილია აუდიოდანართში როგორც თანაბარტემპერირებული (ყოველი ნომრის მაგალითი ა), ისე ქართული ორიგინალური ბეჭრა-ათწყობით (მაგალითი ბ), მათ შორის მნიშვნელოვანი განსხვავების დემონსტრირების მიზნით. რიგ შემთხვევებში მოცემულია აუთენტური ჩანაწერებიც (მაგალითი გ).

ა) უნისონი

№1. წმიდაო ღმერთო [ქსგ, 1, 2004: 231] (ა/დ, №2 ა, ბ):

I<sup>b</sup>(F)

გვი - ნყა - ლენ ჩვენ.

II<sup>b</sup>

გვი - ნყა - ლენ ჩვენ.

ბ) კვინტა (I-V)

№2. ყრმანი, სარწმუნოებით [ქსგ, 8, 2017: 165] (ა/დ, №3 ა, ბ):

I<sup>b</sup>(F)

და და და დებ დებ:

II<sup>b</sup>

და და და დებ დებ:

2. III საფეხურზე: ა) უნისონი, ბ) კვინტური კადანსი (III-VII), გ) ქვედა უნისონი VII საფეხურზე დაბოლოებით; დ) იშვიათად ქვედა უნისონის VII საფეხურს ბანი ენყობა კვინტაში.

ა) უნისონი

№3. კვერექსი [ქსგ, 3, 2005: 11] (ა/დ, №4 ა, ბ):

I<sup>b</sup>(F)

უ ფა ლო, შე გვი ნყა ლენ.

II<sup>b</sup>

უ ფა ლო, შე გვი ნყა ლენ.

ბ) კვინტა (III-VII)

№4. განათლდი, განათლდი [ქსგ, შს, 2006: 29] (ა/დ, №5 ა, ბ, გ):

I<sup>b</sup>(F) III

ა - ნ შე - ნ - ცა ი შვე - ბდინ, ლვთის - მშო - ბე - ლო,  
ა - ნ შე - ნ - ცა - ი - ა ი შვე - ი - ე - ბდინ, ლვთის - მშო - ბე - ლო,

გ) ქვედა უნისონი VII საფეხურზე

№5. განათლდი, განათლდი [ქსგ, შს, 2006: 34] (ა/დ, №6 ა, ბ, გ):

I<sup>b</sup>(F) III

ა - ნ შე - ნ - ცა ი შვე - ი - ე - ბდინ, ლვთის - მშო - ბე - ლო,  
